შეხვედრები მადრიდის კლუბსა და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში

A3

შესანიშნავი შვიდეულის გახსნა

A6

"ნახეთ მოყვასნო, ბრძენთა დასნო, ესე წესია!"

A7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 15 ნოემბერი, 2005 წელი. №254 (1114)

ფასი 50 თეთრი

IWPR

ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს:
http://www.iwpr.net/sub-form.html

A4

სამართალი

საკონსტიტუციო სასამართლომ აბაშიძის ადვოკატთა არგუმენტაცია მოისმინა

გუშინდელ განმწესრიგებელ სხდომაზე არ გადაწყვეტილა, მიიღებს თუ არა წარმოებაში და განიხილავს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო ასლან აბაშიძის ადვოკატების სარჩელს.

A5

რევიუ

ქართული ლეგენდის ქართული გამოცდა

ანსამბლ "ერისიონის" ლეგენდარული შოუ-კონცერტი 17-დან 20 ნოემბრის ჩათვლით თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება. როგორც იქნა, ქართველ მაყურებელსაც მიეცემა ამ ქორეოგრაფიული მზეთუნახავის ნახვის საშუალება.

A8

ამინდი

	15/11	16 /11
თბილისი	13	12
ქუთაისი	18	17
სოხუმი	18	16
დმანისი	8	9
გორი	11	11
ონი	10	10
ზუგდიდი	20	18
ახმეტა	13	12
გაბრა	14	12
სამტრედია	20	19

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7975
ევრო	2.1112
ბირვანქა სტერლ.	3.1366
რუბლი	0.0624

ამბები	A 2
ამბები	A 3
პროექტი	A 4
სამართალი	A 5
სპორტი	A 6
რევიუ	A 7
სხვადასხვა	A 8

"საია" პრეზიდენტის წინააღმდეგ

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ქვეყნის პრეზიდენტს სასამართლოში იბარებს. ამის მიზეზი ქუთაისის თვითმმართველობაში ბოლო ორი წლის მანძილზე გამეფებული აბსოლუტური უკანონობა და განუკითხაობა გახდა.

"2004 წლის 23 აპრილის შემდეგ, როცა თანამდებობიდან ქუთაისის არჩეული მერი, ნუგზარ ფალიანი გადადგა, ქუთაისს მერი აღარ ჰყავს. ამ დრომდე გვყავდა მერის მოვალეობის შემსრულებელი, მერე მოვალეობის შემსრულებლის მოვალეობის შემსრულებელი და ახლა იმის მოვალეობის შემსრულებელი მართავს ქალაქს", - აცხადებს "24 საათთან" საუბარში "საია"-ს ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი ნოდარ ჯიქია.

გაგრძელება A3 გვერდზე

ქუთაისელ "ახალგაზრდა იურისტებს" პრეზიდენტის კანონიერი მოქმედებების იმედი აქვთ.

პრეზიდენტის პირობა - ბიზნესკლიმატის გაუმჯობესება

საქართველოში ბიზნესკლიმატის გაუმჯობესების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებები იგეგმება. ამის შესახებ გუშინ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსთაველის თეატრში ბიზნესმენებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

როგორც სააკაშვილმა აღნიშნა, ცვლილებები შევა საგადასახადო კოდექსში და გაუქმდება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის ჟურნალის წარმოების ვალდებულება, გამარტივდება ექსპორტ-იმპორტის პროცედურები. ამასთან, შეიქმნება ლიბერალური და გამარტივებული შრომის ახალი კოდექსი, განხორციელდება სასამართლო რეფორმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

როგორი იქნება ამინდი ბიზნესისათვის? - ალბათ დეკემბრის დასაწყისში გაირკვევა.

მშვიდობისათვის აუცილებელი საზღვარი

აშშ ღაზას სექტორის საზღვართან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევის იმედს არ კარგავს

ნანა ნასყიდაშვილი

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი გუშინ ისრაელისა და პალესტინის ლიდერებს შეხვდა და, რეგიონში არსებული ვითარების დარეგულირების პარალელურად, მეზობელი ქვეყნების სასაზღვრო პრობლემებზე ისაუბრა. საგულისხმოა, რომ თეთრი სახლის წარმომადგენელმა იორდანიაში დაგეგმილი ვიზიტი გადადო და ისრაელში კიდევ ერთი დღით დარჩა.

საინფორმაციო სააგენტო "როიტერსი" პალესტინის ოფიციალურ წყაროთა მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება, რომ კონდოლიზა რაისის ინიციატივით ისრაელის პრემიერ-მინისტრ არიელ შარონთან და

გაგრძელება A3 გვერდზე

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა რეგიონში არიელ შარონის მიერ გატარებულ პოლიტიკას მაღალი შეფასება მისცა და პალესტინელი ექსტრემისტების ქმედებები სასტიკად დაგმო.

თუ გული ფულობს, მონაკოში გამგზავრებაც შეიძლება

გიორგი ასანიშვილი

18-19 ნოემბერს ნინო ბურჯანაძე მონაწილეობას მიიღებს დსთ-ს ქვეყნების პარლამენტების თავმჯდომარეთა სამიტში, რომელიც სანკტ-პეტერბურგში ტარდება. როგორც ირკვევა, ამ ღონისძიებაში საქართველოს პარლამენტის სპიკერის მონაწილეობის საკითხი, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, თავდაპირველად, კითხვის ნიშნის ქვეშ მდგარა, მაგრამ პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან და სახელისუფლებო ფრაქციის ლიდერებთან კონსულტაციების შემდეგ, ნინო ბურჯანაძეს სანკტ-პეტერბურგში გამგზავრებაზე თანხმობა განუცხადებია.

"დსთ-ს ქვეყნების პარლამენტების სპიკერთა სამიტის ტრიბუნა შეიძლება გამოყენებული იქნეს პრეზიდენტ სააკაშვილის სამშვიდობო ინიციატივების გასაჟღერებლად," - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე. მან სინანული გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ სამივლინებო თანხების დეფიციტის გამო, საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია სანკტ-პეტერბურგში ძალზე მცირერიცხოვანი იქნება.

მართლაც, ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ განაცხადა, რომ სახელისუფლებო ფრაქციამ სამივლინებო თანხების ლიმიტი ამოწურა და ამის გამო, მნიშვნელოვან საერთაშორისო შეკრებებზე საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლების გაგზავნა ვერ ხერხდება. ასეთ ვითარებაში გაოცებას იწვევს, თუ საიდან გამოძებნა სახსრები მონაკოში სამქალიანი დელეგაციის გასამგზავრებლად, რომლის შემადგენლობაშიც მარინა მოლოდინი, თეო ტლაშაძე და მანანა ჯუბაშვილი შედიოდნენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

საქართველოს მილიარდებს რუსეთი და ირანი მიითვისებს

"საქაერონავიგაცია" გაკოტრების პირას არის მისული. საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაციამ (IATA) უკვე გამოგზავნა საქართველოში წერილი იმის თაობაზე, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ის "საქაერონავიგაციის" ანგარიშს აყადაღებს. საწარმოს სექტემბრიდან თანხა არ მიუღია. შესაძლოა, მალე ნავიგაცია თანხების გარეშე დარჩეს, რაც არ გამორიცხავს გაკოტრებას, საქართველოს საჰაერო ცის დახურვას ან კატასტროფებს. ვის გამო კარგავს ქვეყანა ნაკოწიწებ იმიჯს და მილიარდებს?

ოთარ ქირია

მსოფლიო ავიაკომპანიებს, აეროპორტებს, ავიასაწარმოებს, სანავიგაციო სამსახურებს შორის ფინანსურ ურთიერთობებსა და ანგარიშგებას საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაცია ახორციელებს. მაგალითად, საჰაერო ტრასების გამოყენებისთვის ავიაკომპანიები არა ქვეყნების სანავიგაციო სამსახურებს, არამედ ასოციაციას უხდიან თანხებს, რომელიც თანხებს აკუმულირებული სახით რიცხავს სანავიგაციო სამსახურების ანგარიშებზე.

ასეთი მომსახურებისთვის "საქაერონავიგაციას", ისევე როგორც ყველა ავიასაწარმოს, IATA-სთან სპეციალური ხელშეკრულების გაფორმება უწევს. ასოციაციაში გაერთიანების გარეშე მსოფლიო საჰაერო სივრცეში ინტეგრირება პრაქტიკულად შეუძლებელია. მეტიც, ამ ორგანიზაციის მიერ გაკეთებულ შეფასებებსა და კომენტარებზე ხშირად დამოკიდებულია ამა თუ იმ სანარმოსა და ქვეყნის სანავიგაციო სამსახურის საერთაშორისო იმიჯი, შესაბამისად ისიც - იფრენს თუ არა, მაგალითად, საქართველოს ცაზე რომელიმე ავიაკომპანია.

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში საქართველოს სააერნაოსნო სამსახურმა "საქაერონავიგაციამ" არა მხოლოდ ამ ასოციაციაში, არამედ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებშიც შეძლო იმიჯის ამაღლება. ამის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს

გაგრძელება A2 გვერდზე

შესწორებები საპროცესო კოდექსში

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებს აპროტესტებს, გუშინ პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს შეხვდა და კანონპროექტში შესატან შესწორებებზე ესაუბრა. ნინო ბურჯანაძე და ელენე თევდორაძე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების მეორე მოსმენით განსახილველ ვარიანტზე შეთანხმდნენ.

"ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა. ახლა საჭიროა პროექტის ავტორებთან შეთანხმება. იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი ამჟამად თბილისში არ იმყოფება და მისი ჩამოსვლის შემდეგ ჩვენი შეხვედრა შედგება," - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა ელენე თევდორაძემ.

ადამიანის უფლებების დამცველი პარლამენტარი კატეგორიულად ეწინააღმდეგება საპატიმროებში ოპერატიული ღონისძიებების ჩატარებას. საუბარია, საპროცესო კოდექსის 161-ე მუხლის მესამე ნაწილის შეცვლაზე. არსებული საკანონმდებლო ნორმით, დაუშვებელია საგამოძიებო იზოლატორში ბრალდებულთან ოპერატიული მუშაობის განხორციელება. იურიდიული კომიტეტის მიერ შემუშავებული კანონპროექტი კი, საპატიმროებში ოპერატიული ღონისძიებების ჩატარებას ითვალისწინებს. სხვათა შორის, წლების წინ ამ სანქციის გაუქმებისას იურიდიული კომიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელი მიხეილ სააკაშვილი და ელენე თევდორაძე შს ყოფილი მინისტრის კახა თარგამაძის სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდნენ. თარგამაძის დაჟინებული მოთხოვნით, პრეზიდენტმა შევარდნაძემ სამართალდამცველებს საპატიმროებში ოპერატიული საქმიანობის ჩატარების ნებართვა არ გაუუქმა. ამ თემას ხმაურიანი გაფართოებული თათბირიც კი მიეძღვნა. თუმცა, ეს სანქცია არასამთავრობო ორგანიზაციების ჩარევითა და ევროსაბჭოს მკაცრი რეკომენდაციის შემდეგ, საბოლოოდ მაინც გაუქმდა - ძალოვანებს საპატიმროებში ოპერატიული საქმიანობა აეკრძალათ.

გაგრძელება A5 გვერდზე



ბორჯომის მინერალური წყლის არაჩვეულებრივმა თვისებებმა და ბუნებამ მისი ბალნეოკლიმატურ კურორტად ჩამოყალიბებაც განაპირობა. კურორტის პოპულარობა წლიდან წლამდე იზრდებოდა. ბორჯომი კავკასიაში რომანოვების საიმპერატორო საზაფხულო რეზიდენციად აირჩიეს.

1890 წელს, ბორჯომის მინერალური წყლის შუშის ბოთლებში საწარმოო მასშტაბებით ჩამოსხმა დაიწყო.

1893 წელს ხაშური - ბორჯომის რკინიგზის ხაზი გაიყვანეს. სულ მალე დაიწყო ბორჯომი-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის მშენებლობაც.

"ბორჯომის წყაროების" ჩამომსხმელი დანადგარი

1894 წელს, მინერალური წყლების პარკში აშენდა ახალი ჩამომსხმელი ქარხანა, დაიხვეწა ჩამოსხმის ტექნოლოგია. ქარხანა XX საუკუნის 50-იან წლებამდე ფუნქციონირებდა.

1896 წელს ბორჯომში გაიხსნა პირველი მინის ქარხანა, სადაც ბოთლების გაბერვა 1950 წლამდე ხელით ხდებოდა.

1897 წელს ბორჯომში ექსპლუატაციაში შევიდა პირველი ელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე 3 000 ცხენის ძალას შეადგენდა და იმ დროისათვის საკმარისი იყო არა მარტო ბორჯომის, არამედ მიმდებარე სამი რაიონის ელექტროენერგიით მომარაგებისათვის. ელექტროსადგური 1958 წლამდე ფუნქციონირებდა.

1997 წლის ბოლოსათვის, GG&MW-მ შეიმუშავა სპეციალური სარეკლამო პროგრამა ფალსიფიკაციასთან ბრძოლისათვის. ამ პროგრამას ეწოდა - "იპოვე ხუთი განსხვავება". ეს განმასხვავებელი ნიშნები ბორჯომის ბოთლზე და ეტიკეტებზე იყო გამოსახული. ამ სარეკლამო კამპანიაში იყო ინვესტირებული მხოლოდ 120 ათასი აშშ დოლარი, სამაგიეროდ გაყიდვები 10-ჯერ გაიზარდა.

საპატიო დიპლომი სპას საერთაშორისო გამოფენაზე - 1907 წ.

ამ სარეკლამო კამპანიასთან დაკავშირებით, სანქტ-პეტერბურგში ჩაატარეს სატელეფონო გამოკითხვა. გამოკითხულთა 90%-მა შეძლო 5-დან 3 ნამდვილი ბორჯომის განმასხვავებელი ნიშანი დაესახელებინა.

ნიუ-იორკში, ბრუკლინში მცხოვრებთა შორისაც კი შეიტყვეს ამ სარეკლამო კამპანიის შესახებ.

საექსპორტო "ბორჯომის" ბოთლი - 1983 წ.

ეს იყო უნიკალური აქცია: მინიმალური დანახარჯი - მაქსიმალური მოგება.

პრეზიდენტის პირობა - ბიზნესკლიმატის გაუმჯობესება

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

პრეზიდენტის განცხადებით, ასევე იგეგმება საბანკო სისტემის გამარტივება და ლიბერალიზაცია. ამ სექტორში უცხოურ ბანკებს მეტი თავისუფლება მიეცემათ და ნაკლები რეგულაცია იქნება. გაგრძელდება ლიცენზირების სისტემის ლიბერალიზაციაც.

"ამის პარალელურად, ჩვენ გავაძლიერებთ სახელმწიფო ინსტიტუტებს, რადგან მთავარი - პარტიის, პიროვნების, ან პრეზიდენტის პოპულარობა კი არ არის, არამედ - სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ მოსახლეობის ნდობა. ჩვენ არ გვქონდა სახელმწიფო, თუმცა დღეს ჩვენ სახელმწიფოში ვცხოვრობთ," - განაცხადა საკაშვილმა.

"საქართველოში წილების ჩასმის ინსტიტუტი გარდაიცვალა," - მიმართა პრეზიდენტმა ბიზნესმენებს. მისი თქმით, ეს არის დიდი მიღწევა, რომელიც არანაირ ფულზე არ გაიყიდება. სააკაშვილის განცხადებით, ვინც ამ გზით მოქმედებდა, დღეს ან ქვეყნიდან გაქცეულია, ან ციხეში ზის. **"არავის არაფერი შერჩება. ეს არის გაკვეთილი, რომლითაც ყველამ უნდა იხელმძღვანელოს,"** - განაცხადა პრეზიდენტმა. მისი თქმით, ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლები ოთხჯერ გაიზარდა, რაც ბიზნესთან თანამშრომლობის შედეგია. **"ეს არის ჩვენი ერთობლივი წარმატება. ეს არის თქვენი ჯიბიდან გადახდილი ფული,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტი მოითხოვს, რომ საქართველოში არავის შიოდეს. ამიტომ ბიზნესმენებს უფასო სასადილოების გახსნაში მონაწილეობის მიღებისკენ მოუწოდა. **"ეს არ ნიშნავს, რომ რამეს გავალდებულებთ. ეს არც პრივილეგიაა, თუმცა ჩემი დამოკიდებულება თბილი და მეგობრული იქნება. ეს იქნება თქვენი მხრიდან მოქალაქეობრივი ვალის გამოხატვა,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

"საქართველოში წილების ჩასმის ინსტიტუტი გარდაიცვალა," - მიმართა პრეზიდენტმა ბიზნესმენებს.

"1 მარტიდან დაგეგმილია პენსიის 5 ლარით გაზრდა, ხოლო 1 სექტემბრიდან მას კიდევ 5 ლარი დაემატება," - განაცხადა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება მომავალ წელს შიმშილის ზღვარზე მცხოვრები მოქალაქეების დახმარებასაც გეგმავს.

"საქართველოს პრეზიდენტი ბიზნეს-სექტორში არსებულ მდგომარეობაზე რეალურ ინფორმაციას არ ფლობს," - განაცხადა კომპანია "ყაზბეგის" პრეზიდენტმა გოგი თოფაძემ. **"არც ისე კარგად არის საქმე, როგორი ინფორმაციაც საქართველოს პრეზიდენტს აქვს. ღღეს პრეზიდენტმა საკმაოდ კარგი ციფრები მოიყვანა ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებით, მაგრამ სულ სხვა სტატისტიკაც არსებობს,"** - დასძინა თოფაძემ. მას იმედი აქვს, რომ საქართველოს პრეზიდენტი დღეიდან უშუალოდ ჩაერთვება და დაინტერესდება იმ პრობლემებით, რა პრობლემებიც დღეს ბიზნესის წინაშე დგას. **"თუ პრეზიდენტი თანახმა იქნება, მე ვაპირებ მასთან მივიდე და უშუალოდ მოვახსენო ის პრობლემები, რაც ამ სექტორში რეალურად არსებობს,"** - განაცხადა თოფაძემ.

"საქართველოს ხელისუფლების მიერ ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიუხედავად, ამ სექტორში პრობლემები მაინც არსებობს," - განაცხადა გუშინ ბადრი პატარკაციშვილმა პრეზიდენტის ბიზნესმენებთან შეხვედრის შემდეგ. როგორც მან აღნიშნა, ბიზნეს-სექტორში ჯერ ისევ ბევრი პრობლემებია, რომელიც აუცილებლად უნდა მოგვარდეს. **"ბიზნესმენი არ შეიძლება აღტაცებული არ იყოს იმით, რაც დღეს ქვეყანაში კეთდება. მაგრამ, რა თქმა უნდა, პრობლემები მაინც არსებობს და ეს პრობლემები აუცილებლად უნდა გადაიჭრას,"** - განაცხადა პატარკაციშვილმა. მისი თქმით, საქართველოს პრეზიდენტისა და ბიზნესმენების შეხვედრაზე ამ პრობლემების დაყენების არც დრო იყო და არც განწყობა. ამიტომ გადაწყდა, რომ ბიზნესმენებს საქართველოს პრეზიდენტი კიდევ ერთხელ, დეკემბრის პირველ დეკადაში შეხვდება და ამ პრობლემებს პირადად გაეცნობა.

ინტერპრესნიუსი

თუ გული ფულობს, მონაკოში გამგზავრებაც შეიძლება

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

■ ■ ■

პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგი წერეთელი კატეგორიულად უარყოფს მასმედიაში გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს, საქართველოს ხელისუფლება აპირებს, მარიხუანას გაყიდვის ლეგალიზება მოახდინოს. **"შესაძლოა, სადღაც, რაღაც დონეზე ამ საკითხზე მართლაც იყო დისკუსია, ისევე, როგორც ხშირად კამათობენ ხოლმე იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია პროსტიტუციის ლეგალიზება. მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ მარიხუანათი თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს ნამდვილად არ შეესაბამება,"** - ამტკიცებს გიგი წერეთელი.

პარლამენტის ბიუროს სხდომა.

ᲘᲚᲔᲜᲐ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

■ ■ ■

გასულ შაბათ-კვირას, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, გუდაურში მოეწყო 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა, რომელშიც, დეპუტატებთან ერთად, მთავრობის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ამ დოკუმენტზე მსჯელობა მიმდინარე კვირაში უკვე საპარლამენტო კომიტეტებში გაგრძელდება.

■ ■ ■

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან სალომე ზურაბიშვილის გადაყენებისთანავე დიპლომატიურ უწყებაში დაწყებული ელჩების როტაციის პროცესი კვლავ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში დღეს რამდენიმე საკადრო საკითხი განიხილება. კერძოდ, საუბარი იქნება ლევან მიქელაძის ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოწვევასა და შვეიცარიაში მის დანიშვნაზე, აგრეთვე, ლაშა ოთხმეზურის ესპანეთიდან, ზაურ გამსახურდიას სლოვაკეთიდან და სლოვენიიდან, ხოლო კონსტანტინე ჟღენტის ავსტრიიდან და უნგრეთიდან გამოწვევაზე.

სლოვაკეთსა და სლოვენიაში ზაურ გამსახურდიას "ადგილმონაცვლედ" ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილის კანდიდატურა განიხილება, ლევან მიქელაძეს კი ოკეანის გაღმა ვასილ სიხარულიძე შეცვლის. ახლო მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება ვიქტორ დოლიძის "უფლებამოსილება": დღემდე ის ეუთო-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელია, მომავალში კი ამ თანამდებობას ავსტრიასა და უნგრეთში ელჩობასაც შეუთავსებს.

გარდა ამისა, როგორც პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე აღინიშნა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა კანონმდებლებს დასამტკიცებლად კიდევ ორი კანდიდატურა წარუდგინა: რევაზ ბეშიძე - ნატო-ში საქართველოს წარმომადგენლად, ხოლო გიორგი ჯანჯღავა კი ეგვიპტესა და სირიაში საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მოიაზრება.

საქართველოს მილიარდებს რუსეთი და ირანი მიითვისებს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ოფიციალური სტატისტიკაც - თუკი საქართველოს ცაზე შარშან დღიურად მხოლოდ 90 სატრანზიტო გადაფრენა ხორციელდებოდა, დღეს ამ ციფრმა 200 გადააჭარბა, რაც ციდან "ჩამოცვენილი მილიონების" გაორმაგებას ნიშნავს. "საქაერონავიგაცია" ერთერთი უმდიდრესი ორგანიზაცია გახდა. ბუშის ვიზიტის სრულფასოვნად მომსახურებისთვის, საწარმომ აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განკუთვნილი მადლობაც მიიღო.

თუმცა, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ქვეყნის ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს ნაკლებად აღელვებს. "24 საათი" გასულ კვირას გაცნობებდათ, რომ 1997 წელს "თბილსრესის" მიერ შვეიცარული კომპანია "სიერრა ოილის"-გან აღებული 2 მილიონი დოლარის ღირებულების საწვავის გამო, დღეს "საქაერონავიგაციას" აყადაღებენ. საქმე ის არის, რომ "თბილსრესის" ვალი 2001 წელს პირველად და 2003 წელს მეორედ საქართველოს ხელისუფლებამ სახელმწიფო ვალად აღიარა. სასამართლო პრცესების მთელი სერიის შემდეგ, სხვას რომ ვერაფერს გახდა, "სიერრა ოილმა" ლონდონის სასამართლოში იჩივლა, შემდეგ საქართველოს უზენაეს სასამართლოს დაადასტურებინა ლონდონის გადაწყვეტილების მართებულობა, ბოლოს კი მიმდინარე წლის მაისში ჰოლანდიის სასამართლოში იჩივლა და მოიგო კიდეც. უცნაური კი აქ ის არის, რომ "სიერრა ოილმა" ამჯერად მესამე მხარისგან უნდა მიიღოს თანხა. ანუ მოიძებნა ორგანიზაცია, რომელსაც საერთაშორისო არენაზე კარგი იმიჯი აქვს, ძლიერი ფინანსური მდგომარეობა გააჩნია და ფლობს აგარიშს შვეიცარიაში (IATA-ში). ითქვა, რომ ეს არის სახელმწიფო ორგანიზაცია და სწორედ მისი ანგარიშის დაყადაღებით იქნებოდა შესაძლებელი საქართველოს სახელმწიფო ვალის დაბრუნება. თანაც საინტერესო ის არის, რომ საუბარია არა თავდაპირველ თანხაზე, არამედ სამჯერ მეტზე - 6 მილიონ აშშ დოლარზე, რაც საქართველოს ხელისუფლების მიერ ვალის აღიარების დროს საპროცენტო საურავების გადახდაზე თანხმობით არის გამოწვეული.

ერთი სიტყვით, "სიერრა ოილმა", რომელიც, სხვათა შორის, საკმაოდ უცნაური კომპანიაა, პროცესი მოიგო და თანხა უნდა მიიღოს. თავის დროზე ამ კომპანიას თბილისშიც ჰქონდა წარმომადგენლობა. დღეს იაშვილის ქუჩის 22-ში რესტორანი ფუნქციონირებს და იქ "სიერრა ოილის" შესახებ არაფერი იციან.

"საქაერონავიგაციის" მიერ დაქირავებული საერთაშორისო ადვოკატების მოპოვებული ინფორმაციით კი, "სიერრა ოილის" დამფუძნებელი ერთ-ერთი ამერიკელი ბიზნესმენია, რომელიც, თავის დროზე, კლინტონის საარჩევნო კამპანიას აფინანსებდა. ვინ დგას ამ ამერიკელი მილიონერის უკან, ჯერ უცნობია.

თუმცა, საგულისხმოა, რომ კომპანია 1995 წელს არის შექნილი. მას არ გააჩნია ვებ-გვერდი ინტერნეტში. არც მათი საკონტაქტო ტელეფონები არსებობს შვეიცარიის ქალაქ ცუგში, სადაც ფირმას რეგისტრაცია აქვს გავლილი. კომპანიის აქციები წარმომადგენლობითია, ანუ მისი მფლობელების სია უცნობია და ამის გაგება მომავალშიც შეუძლებელია.

ერთი სიტყვით, ზუსტად ის მექანიზმია, რასაც თავის დროზე "ანგლო ოილ ჯორჯიას" აბრალებდნენ, ოღონდ, ამჯერად პატრონი უცნობია.

მაგრამ, ალბათ, სამართალდამცველები უნდა დაინტერესდნენ იმითაც, თუ ვინ აღიარა ვალი და ვისი ხელმოწერა ამშვენებს ძირითადი თანხის ორჯერ 25-პროცენტიანი საურავით გაზრდას. დღეს ენერგეტიკის სამინისტრო ამ დოკუმენტებს მალავს. მინისტრმა გილაურმა ინფორმაცია სასამართლო დავის შესახებ ივლისში გაკეთა, თუმცა, მთავრობის სხდომას დაუმალა ის ამბავი, რომ მომჩივანი თანხის ამოღებას მესამე მხარისგან ითხოვდა.

დღეს კი ამ "გაუგებრობის" გამო, შესაძლოა, ქვეყნის ნავიგაცია გაკოტრდეს. უკვე ლაპარაკობენ იმაზეც, რომ შესაძლოა, თანამშრომლები გაიფიცონ ან სამსახურები დატოვონ (ასეთ კადრებზე მსოფლიოში დიდი მოთხოვნილებაა), რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ცა უკონტროლო გახდება და თუ ავიაკატასტროფას და საერთაშორისო სკანდალს გადავრჩით, ავიაკომპანიები უმტკივნეულოდ შეცვლიან გეზს და სატრანზიტო ტრასებს ირანისა და რუსეთის დახმარებით გამოიყენებენ.

"ეს მაშინ, როცა საერთაშორისო ავიაორგანიზაციების განცხადებებით, პირიქით უნდა ყოფილიყო და ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ სატრანზიტოდ საქართველოს ცა მიმზიდველი ყოფილიყო. ამით საქართველო მილიარდებს დაკარგავს," - ამბობს საქაერონავიგაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი კარბელაშვილი და დასძენს, რომ პასუხს ყველას მოსთხოვს. სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში ამ საკითხს სააკაშვილიც გამოეხმაურება. იქნებ მაშინ გაგვცენ პასუხები ენერგეტიკის ძველმა და ახალმა მინისტრებმა და ფინანსთა ყოფილმა მინისტრმაც.

ფინანსთა სამინისტრომ KFW-სგან 40-წლიანი კრედიტი მიიღო

გუშინ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკთან (KFW) ორ სასესხო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

პირველი ხელშეკრულების თანახმად, საქართველო სესხის სახით 25 მილიონ ევროს მიიღებს, რომელიც კერძო აბონენტებისათვის და მცირე სამრეწველო და კომერციული საწარმოებისათვის ელექტროენერგიის მრიცხველების დამონტაჟებაზე დაიხარჯება. კრედიტის ხანგრძლივობა 40 წელია, აქედან ათი წელი შეღავათიანია, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი - 0,75 პროცენტი.

მეორე ხელშეკრულება 8.3 მილიონი ევროს რაოდენობის კრედიტს ითვალისწინებს. აღნიშნული თანხა ვარციხეჰესების კასკადის სარეაბილიტაციოდ არის გამოყოფილი. ეს კრედიტიც შეღავათიანია და მასზე საპროცენტო განაკვეთი 0,75 პროცენტია.

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს, აგრეთვე, გარდაბნის ელექტროქვესადგურის ნაწილობრივ რეაბილიტაციას, ენერგოგადაცემის სისტემის სათადარიგო ნაწილების შეძენას და სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მართვის კონტრაქტის დაფინანსებას.

"საქართველოსთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია ასეთი კრედიტების გამოყოფა. აღნიშნული თანხა დაიხარჯება საქართველოს ენერგეტიკის განვითარებაზე. ჩვენ გერმანიის მთავრობასთან თანამშრომლობას მომავალშიც განვაგრძობთ," - განაცხადა ხელმოწერის შემდეგ ლექსო ალექსიშვილმა. როგორც საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის პრესსამსახურმა საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" განუცხადა, თანხა, უპირველეს ყოვლისა, დიდი ქალაქების გამრიცხველიანებას მოხმარდება.

აღსანიშნავია, რომ კომპანია უკვე აწარმოებს გამრიცხველიანებას 15 დიდ ქალაქში. პრესსამსახურის განცხადებით, ამ ნუსხას კიდევ რამდენიმე დიდი ქალაქი დაემატება.

ჯი-ეიჩ-ენი

მოკლედ

სტუდენტთა აქციები რუსეთის სამშვიდობოების წინააღმდეგ

საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა და ჟურნალისტთა ასოციაცია, აფხაზეთის ახალგაზრდული საქმეთა სამმართველო, თსუ-ს სოხუმის ფილიალის სტუდკავშირი და ამავე უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმმართველობა, აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნას უარყოფითად აფასებენ. მათი შეფასებით, სამშვიდობოების კონფლიქტის ზონაში ყოფნა აფხაზურ ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, გალის რაიონში დაბრუნებულ დევნილ მოსახლეობას იძულების წესით მიაღებინოს "აფხაზეთის მოქალაქეობა". მათივე ინფორმაციით, უკანასკნელ პერიოდში გალის რაიონში მომხდარი ინციდენტები სწორედ დაბრუნებულ დევნილთა მიმართ "აფხაზეთის მოქალაქეობის" ძალდატანებით მიღებას უკავშირდება.

გალის რაიონიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ლიდერები ამტკიცებენ, რომ ის დევნილები, ვინც "აფხაზეთის მოქალაქეობის" მიღებაზე უარს განაცხადებს, 3 ათასი რუსული რუბლით, ანუ 100 აშშ დოლარით ჯარიმდება.

მათივე პროგნოზით, თუ ქართულმა ხელისუფლებამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა გალის რაიონში დაბრუნებული დევნილების მიმართ აფხაზური ხელისუფლების ზეწოლაზე დროული და სწორი რეაგირება არ მოახდინეს, უმოკლეს პერიოდში გალის რაიონში დაბრუნებული მოსახლეობა იძულებული გახდება, ზენოლის ქვეშ მიიღოს აფხაზეთის მოქალაქეობა.

საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა და ჟურნალისტთა ასოციაციის გამგეობის წევრის მურად აბლოთიას განცხადებით, არასამთავრობო და ახალგაზრდული ორგანიზაციები, რუსეთის სამშვიდობო ძალების მოთხოვნით, საპროტესტო აქციებს დღეიდან დაიწყებენ. მისივე თქმით, სტუდენტთა აქცია დღეს, რუსეთის საელჩოს წინ, ხოლო შემდეგ - ზუგდიდში და ჯვარში, რუსეთის სამშვიდობო ძალების შტაბებთან გაიმართება. **ინტერპრესნიუსი**

პასპორტების დარიგებას თვის ბოლოს დაიწყებენ

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება გალის რაიონში დაბრუნებული მოსახლეობისთვის აფხაზეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტების დარიგებას თვის ბოლოს დაიწყებს. სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას განცხადებით, გალის მოსახლეობა "აფხაზეთის მოქალაქეობის მიღებით თავად არის დაინტერესებული." იგი კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს აფხაზური ხელისუფლება ენგურსგაღმა გააძევებს იმ პირებს, რომლებიც აფხაზეთის მოქალაქეობას არ მიიღებენ.

"აფხაზეთში ცხოვრების უფლება მათაც ექნება, ვინც აფხაზეთის მოქალაქეობას არ მიიღებს," - აღნიშნავს დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი. მისივე მტკიცებით, გალის მოსახლეობა "გაგებით და კმაყოფილებით მოეკიდა" იმ გარემოებას, რომ "აფხაზურმა ხელისუფლებამ გალის რაიონის მოსახლეობა აფხაზეთის სხვა რაიონების მცხოვრებლებისგან არ გამოყო და აფხაზეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტების აღება მათაც შესთავაზა." შამბას ინფორმაციით, მოქალაქეობის მიღების მსურველებს აფხაზური პასპორტების აღება 5-დან 10-დოლარამდე დაუჯდებათ. მისივე თქმით, მოქალაქეთა საკმაოდ დიდი ნაწილი, ვისთვისაც შეღავათები კანონითაა გათვალისწინებული, აფხაზეთის მოქალაქის დამადასტურებელ პასპორტებს უფასოდ მიიღებს. **ინტერპრესნიუსი**

კომპანია "ნესტლე" ცრუ ბრალდებებს აბათილებს

ბავშვთა საკვების მწარმოებელი კომპანია "ნესტლეს" წარმომადგენლები უარყოფენ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს კომპანიის ბავშვთა კვების პროდუქტებში შემავალი ერთ-ერთი ინგრედიენტი პატარებში ავთვისებიან სიმსივნეს იწვევს. კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, ინგრედიენტი, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, სიმსივნეს იწვევს, ჩვეულებრივი წყალია. როგორც კომპანიაში აცხადებენ, მათ ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოების 100 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვთ და მათი პროდუქცია ყველა ევროსტრუქტურის მიერ არის ლიცენზირებული. **ინტერპრესნიუსი**

კიდევ ერთი ჩამონგრევა ქალაქის ცენტრში

გუშინ ღამე, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, თუმანიანის ქუჩა N1-ში ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი ჩამოინგრა. შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია. თუმცა, იქ მცხოვრები ოთხი ოჯახისთვის შენობა, ფაქტობრივად, საცხოვრებლად უვარგისი გახდა. როგორც "მედიანიუსს" მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებელმა კახა გურულმა განუცხადა, ეს სახლი 1889 წელს აშენდა. 1988 წლიდან კი იგი მწვავე ავარიულ ბინად ითვლება. "აქ მცხოვრებ ოჯახებს დიდი ხანია, გლდანის საერთო საცხოვრებელში გადასვლას ვთავაზობთ. მაგრამ ისინი შენობის დაცლას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. დაზარალებულთა დასახმარებლად შესაბამის სამოქმედო გეგმას თბილისის მთავრობა და რაიონის გამგეობა ერთობლივად შეიმუშავებენ. თუმანიანის ქუჩის მცხოვრებნი დედაქალაქის მერიისგან კომპენსაციას ან ინვესტორის მოზიდვას მოითხოვენ, რომელიც ამავე ქუჩაზე ახალ საცხოვრებელ სახლს ააშენებს. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხაძირიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

შეხვედრები მადრიდის კლუბსა და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში

ხათუნა გაბიევი

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე სამუშაო ვიზიტით კოპენჰაგენში იმყოფება, სადაც ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში იღებს მონაწილეობას.

"კოპენჰაგენში თემატიკა, ბუნებრივია, იგივეა, რაც მადრიდის კლუბში მქონდა სულ ცოტა ხნის წინ, სადაც ყურადღება გამახვილდა კონფლიქტების მოგვარების საკითხებსა და რუსეთის როლზე კონფლიქტების დარეგულირებაში, რომელიც ჯერჯერობით არაკონსტრუქციულია. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ ევროპა უფრო ინტენსიურად უნდა ჩაერთოს ამ საკითხში, ისევე როგორც რუსეთის ბაზების საქართველოდან გაყვანის თემაზე. ამ საკითხზე შეხვედრა მქონდა ასევე ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივანთან საიმონ ლანთან და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან, საფრანგეთის პარლამენტის წევრ პიერ ლალუშთან. შევთანხმდით, რომ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა შექმნის სპეციალურ მონიტორინგის ჯგუფს, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები შევლენ, რათა განხორციელდეს თანმიმდევრული მონიტორინგი რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანაზე. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება, თუკი ამ პროცესზე დაწესდება საპარლამენტო კონტროლი ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაციისა, როგორიც ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაა. ამის შემდეგ, ალბათ, შესაძლებელი იქნება ვიფიქროთ სამშვიდობო ძალების გაყვანის მონიტორინგზეც, როცა ეს საკითხიც დადგება დღის წესრიგში. ჯერჯერობით კი ეს საკითხი პარლამენტის მიერ არის დასმული, ხოლო პროცესის დაწყებისთვის აუცილებელია გარკვეული პირობების შესრულება," - აღნიშნავს გიორგი ბარამიძე.

გიორგი ბარამიძე წინგადადგმულ ნაბიჯებზე საუბრობს.

კოპენჰაგენში ვიზიტამდე კი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მადრიდის კლუბის მეოთხე კონფერენცია და გენერალური ასამბლეის შეხვედრა შედგა ჩეხეთში.

მადრიდის კლუბი ყოფილი პრეზიდენტებისა და პრემიერ-მინისტრების კლუბია, რომლის კონფერენციები წელიწადში ერთხელ იმართება. ამჯერად სამუშაო ჯგუფის შეხვედრა აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიის გავრცელებაში ევროკავშირის როლს მიეძღვნა, სადაც ქართველ მინისტრს მიეცა საშუალება, დასავლელი მოკავშირეებისათვის ქვეყანაში გატარებული რეფორმების შედეგები გაეცნო.

თუმცა, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პერსპექტივებზე საუბრის გარდა, უმთავრესი გზავნილი საქართველოს მხრიდან მაინც კონფლიქტების რეგულირების გეგმის გაცნობა იყო ევროპისა და აშშ-ს წარმომადგენლებისთვის.

"მე მქონდა გამოსვლა მადრიდის კლუბში, სადაც ვისაუბრეთ საქართველოში მიმდინარე პროცესებზე შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში და ბუნებრივია, ყურადღება გავამახვილეთ საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე და ჩვენს სამშვიდობო ინიციატივაზე, რომელიც ბოლო დროს კიდევ უფრო დაიხვეწა და რასაც ოფიციალურად მხარი დაუჭირა აშშ-მ," -აღნიშნა გიორგი ბარამიძემ.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული სამშვიდობო გეგმის საფუძველზე აშშ-ს და რუსეთს შორის აქტიური დიპლომატიური მოლაპარაკებები უკვე დაიწყო. მართალია, მადრიდის კლუბის შეხვედრის ფორმატი არ ითვალისწინებდა რაიმე კორექტივების შეტანას წარდგენილ დოკუმენტში, მაგრამ კრიტიკული დამოკიდებულება ამ გეგმის მიმართ რუსეთის დელეგაციას არც გამოუხატავს.

თუმცა, კონფლიქტების რეგულირების გეგმის გარდა, მეორე მნიშვნელოვანი საკითხი პოსტკონფლიქტური ქვეყნების, კონკრეტულად კი საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში ინტეგრაციის პერსპექტივები იყო.

"ვისაუბრეთ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მნიშვნელობაზე, რომელიც ამ ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენი ქვეყნისთვის. მომავალ წელს ვამთავრებთ აიპაპის რეალიზაციას და ვგეგმავთ, რომ უკრაინასთან ერთად საქართველომ მიიღოს ე.წ. გაწევრიანების სამოქმედო გეგმა, ნატი, რაც კარს გაუხსნის უკრაინას და საქართველოს, როგორც შავი ზღვის ქვეყნებს, 2008 წლისთვის გაწევრიანების სამიტზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ საშუალება გვქონდა, შევხვედროდით ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, რომელიც ორმხრივ ურთიერთობებს კურირებს და დავსვით საკითხი ე.წ. საქართველოს ახალი მეგობრების ჯგუფში ჩეხეთის, როგორც ცენტრალური ევროპის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყნის შესვლაზე. აღნიშნული მეგობართა ჯგუფი ბალტიის სამ ქვეყანას, პოლონეთს, რუმინეთსა და ბულგარეთს ითვლის," - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

საქართველოს მეგობართა ჯგუფთან დაკავშირებით შეხვედრა, როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინ რუმინეთში შედგა.

ჩეხეთში კონფერენციის მსვლელობისას კი გიორგი ბარამიძე აშშ-ს ყოფილ პრეზიდენტს ბილ კლინტონსა და მის ჩეხ, ასევე ყოფილ კოლეგას ვაცლავ ჰაველს შეხვდა.

"პატივი მქონდა, შევხვედროდი ჩეხეთისა და აშშ-ს ყოფილ პრეზიდენტებს, ამ ლეგენდარულ ადამიანებს - ვაცლავ ჰაველსა და ბილ კლინტონს, რომელთაც, მიუხედავად იმისა, რომ დღეს თანამდებობებზე არ არიან, უდიდესი გავლენა აქვთ მათ ქვეყნებში და არა მარტო მათ ქვეყნებში პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე. მე პირადად მივმართე მათ, რომ გახდნენ საქართველოს ლობისტები ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებში," - აღნიშნა საქართველოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

დაბოლოს, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე ქართულმა მხარემ დასავლელი ექსპერტები მოიწვია, რათა მათ საკუთარი თვალით იხილონ პოსტრევოლუციური ხელისუფლების მიღწევები.

"მომავალ წელს საქართველოში ჩამოვლენ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის სამოქალაქო უსაფრთხოების კომიტეტის, ასევე თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხების კომიტეტის წარმომადგენლები. გარდა ამისა, ჩვენი თხოვნით გვეწვევა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური საკითხების თავმჯდომარე, გერმანიის დელეგაციის მეთაური მარკუს მერკელიც. ეს ყველაფერი საჭიროა იმისათვის, რომ ის მიღწევები, რომელიც გვაქვს იგივე აიპაპის რეალიზაციის საკითხებში, გავაცნოთ ჩვენს ევროპელ კოლეგებს, რადგან ბევრ რამეში ისეთი მიღწევები გვაქვს, რისი გაკეთებაც წარმოუდგენელი იყო ასეთ მოკლე დროში. ამიტომ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ თვითონ დარწმუნდნენ ჩვენი ევროპელი კოლეგები ამ პროცესების სინამდვილესა და ხარისხში. რაც, ბუნებრივია, ზეგავლენას მოახდენს ნატო-ს წევრ თითოეულ ქვეყანაზე, მათი პოზიციის ჩამოყალიბებაზე საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით," - დაამატა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა

"საია" პრეზიდენტის წინააღმდეგ

ვირველი გვერდიდან

"ქუთაისში განვითარებულმა მოვლენებმა თვითმმართველობის იდეის დისკრედიტაციის საფრთხე შექმნა", - აღნიშნავს "საია"-ს ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარე მზია გოჩელაშვილი.

"საია"-ს ქუთაისის ფილიალმა პრეზიდენტისგან ვადამდელი არჩევნების დანიშვნა ჯერ კიდევ 2005 წლის მარტის თვეში მოითხოვა, როცა საკრებულომ პირველი შთამბეჭდავი "უკანონობა" ჩაიდინა. **"ქუთაისის საკრებულოს 2005 წლის 2 მარტის 112-ე გადაწყვეტილება, რომლითაც საკრებულომ დებულებაში ცვლილება შეიტანა და ამის საფუძველზე მერის უფლებამოსილება მერის ერთ-ერთ მოადგილეს, ჩვენს შემთხვევაში ბესიკ გულორდავას დააკისრა, ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანულ კანონს "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის" შესახებ, რომლითაც მერის არყოფნის შემთხვევაში უფლებამოსილებას მერის პირველი მოადგილე ასრულებს. ასევე, ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ნორმატიული აქტების შესახებ კანონს, რომლითაც საკრებულოს დადგენილება გაცილებით უფრო ქვედა საფეხურზე დგას, ვიდრე ორგანული კანონი. ამასთან, ეს გადაწყვეტილება აქტების სახელმწიფო რეესტრში ყოველგვარი სამართლებრივი დასკვნის გარეშეა შეტანილი,"** - აცხადებს "საია"-ს ქუთაისის ფილიალის წარმომადგენელი მადონა ბასილაძე.

"საია"-ს ქუთაისის ფილიალმა მაშინ საკრებულოს მიმართა რეკომენდაციით, ბათილად ეცნო აღნიშნული გადაწყვეტილება, რაც ქუთაისის სათათბირო ორგანომ არ გაიზიარა. "ახალგაზრდა იურისტებმა", ასევე, დელიკატური უარი მიიღეს პრეზიდენტის ადმინისტრაციისგანაც. კობა ხაბაზის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში განმარტებულია: **"მზადდება ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებები და დამატებები, რომლის საფუძველზეც მერის არჩევნები საკრებულოს წევრებისგან მოხდება."**

ქუთაისის საკრებულოს 112-ე გადაწყვეტილება მაშინ მერიის სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანდაცვის სამსახურის თანამდებობიდან გათავისუფლებულმა მოქალაქე არჩილ მუკბანიანმა სასამართლოში გაასაჩივრა. მისი სასარჩელო განცხადება "საია"-ს ქუთაისის ფილიალში მომზადდა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ქუთაისის საქალაქო და საოლქო სასამართლოებმა მოსარჩელე უარით გამოისტუმრეს. მოგვიანებით, საკასაციო სარჩელზე კი უარი თავად მუკბანიანმა თქვა, რადგან ამ დროს ქუთაისში კიდევ ერთი სამთავრობო ცვლილება განხორციელდა და მუკბანიანმა ძველი პოსტი დაიბრუნა. ახალ სამთავრობო ცვლილებებს კი საკრებულოს მხრიდან ახალი კანონდარღვევები მოჰყვა. **"ქუთაისის საკრებულოს 7 ოქტომბრის რიგგარეშე 22-ე სხდომაზე საკრებულომ სამი უკანონო გადაწყვეტილება მიიღო,"** - აცხადებს მზია გოჩელაშვილი. "ახალგაზრდა იურისტების" შეფასებით, საკრებულოს ეს სხდომა პროცედურის დარღვევით იქნა მოწვეული, რადგან სხდომის მოწვევის საფუძვლად მითითებულია მერის წინადადება. სინამდვილეში, მერის მოვალეობის მაშინდელმა შემსრულებელმა ბესიკ გულორდავამ საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხად მთავრობის წევრად მერის მოადგილის გოჩა ჩხეტიას კანდიდატურა წარუდგინა, მაგრამ ის არ ითხოვდა რიგგარეშე სხდომის მოწვევას. საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის 1/3 კი "ქალაქში შექმნილი ვითარებიდან" გამომდინარე რიგგარეშე სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევას ითხოვდა, რაც საკრებულოს თავმჯდომარემ დააკმაყოფილა, თუმცა კანონის თანახმად, რიგგარეშე სხდომა მოთხოვნის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში უნდა დანიშნულიყო. **"ამას გარდა, საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილება "ქალაქ ქუთაისში შექმნილი ვითარების შესახებ" დაუსაბუთებელია და არ მიუთითებს, რა გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარეობდა აღნიშნული საკითხის დაუყოვნებლივ განხილვა და დადგენილების მიღება. ამ დადგენილებით არ ირკვევა, კონკრეტულად რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ქალაქში შექმნილი ვითარების ნორმალიზების მიზნით,"** - აცხადებს მზია გოჩელაშვილი.

"ქალაქში შექმნილი ვითარების ნორმალიზების მიზნით" ქუთაისის საკრებულომ ორი გადაწყვეტილება მიიღო: გააუქმა ბესიკ გულორდავას გადაწყვეტილებები მერის მოადგილის პოსტიდან გიგა ჩოგოვაძის გათავისუფლებისა და მის ადგილზე გოჩა ჩხეტიას დანიშვნის შესახებ. ბესიკ გულორდავას მერის მოვალეობის უფლებამოსილება შეუწყვიტა და მისი შესრულება გიგა ჩოგოვაძეს დაავალა. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში" მიიჩნევენ, რომ საკრებულომ ამ დადგენილებებით აშკარად გადაამეტა უფლებამოსილებას, ამიტომაც ქუთაისის სათათბირო ორგანოს წერილით მიმართა, რათა საკრებულომ ეს დადგენილებები არარად აღიაროს.

"ახალგაზრდა იურისტებს" ნაკლებად აქვთ იმედი, რომ ქუთაისის საკრებულო ამჯერად მაინც გამოიჩენს კანონმორჩილებას. **"მაგრამ პრეზიდენტი უნდა დაემორჩილოს კანონს და საკრებულოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით ქუთაისში ადგილობრივი თვითმმართველობის ვადამდელი არჩევნები დანიშნოს,"** - მოითხოვენ "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლები.

"ნაციონალური თავისუფლება"

გადაცემის სტუმარია "თავისუფლების ინსტიტუტის" გამგეობის თავმჯდომარე, ლევან რამიშვილი

ალეკო ელისაშვილი: რატომ საუბრობს ოპოზიცია ლევან რამიშვილის გავლენაზე?

ლევან რამიშვილი: მიჭირს რაიმე სერიოზული კომენტარის გაკეთება ამ საკითხთან დაკავშირებით. არასერიოზულ თემებზე, ანუ რაღაც შეთქმულების თეორიებზე საუბარი არ მსურს. ხალხმა, რომელმაც ვერაფერს მიაღწია, ძველი სტერეოტიპებით მოქმედებს. 15 წლის წინანდელ ქარის წისქვილებს ებრძვიან.

ა.ე: საპროცესო სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის საკითხი ხმამაღალი განსჯის საგნად იქცა. სალომე ზურაბიშვილის მოძრაობის წევრებმა ამ საკითხთან დაკავშირებით, მშვიდობიანი მარშით გაიარეს რუსთაველზე; ჩვენს ეთერში კახა კუკავამ განაცხადა, რომ ეს არის 1937 წელთან დაბრუნება, როდესაც ანონიმური ინფორმაციის საფუძველზე მოხდება პიროვნებების დაკავება.

ლ.რ: შემოთავაზებული ცვლილებების შედეგად, ვალდებულება, რომ გამოძიება ანონიმურად შემოსული შეტყობინების საფუძველზე დაიწყოს, უქმდება. გამომძიებელი უფლებამოსილი იქნება, კონკრეტულ შემთხვევაში თავად გადაწყვიტოს, ანონიმურად მიღებული შეტყობინების საფუძველზე დაიწყოს გამოძიება თუ არა.

ა.ე: თქვენ ამბობთ, რომ ეს არ არის ძველი, 30-იანი წლების პრაქტიკის შემოღება და ეს არის დემოკრატიული გადაწყვეტილება?

ლ.რ: არ გამოვრიცხავ, რომ 30-იანი წლების პრაქტიკა ჯერ ისევ იყოს შემორჩენილი ჩვენს სისხლის სამართლის სფეროში, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში 30-იან წლებთან საერთოს ვერაფერს ვხედავ. უბრალოდ, ეს არის სისხლის სამართლის პროცესის საღ აზრთან დაახლოება. თუკი დღეს მოქმედი ნორმები დარჩება, მაშინ აბსურდული ანონიმური შეტყობინების შემთხვევაში გამომძიებელი ვალდებული იქნება, ჩაატაროს გამოძიება. ამისი შესაძლებლობა გამორიცხულია. მე მესმის წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ ვიღაცამ შეიძლება ამ უფლებით ბოროტად ისარგებლოს, რისი პრაქტიკაც საბჭოთა კავშირიდან გამოსულ სამართალდამცავებს აქვთ. აქედან მოდის საზოგადოების შიშიც, თუმცა არა მგონია, რაციონალური გადაწყვეტილების მიღებისას ყველაზე კარგი მოკარნახე შიში იყოს. საჭიროა, ჯერ კარგად გავერკვეთ, რასთან გვაქვს საქმე და ვიკამათოთ არსებითად, და არა რაღაც სტერეოტიპებიდან გამომდინარე.

ა.ე: "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელთა თქმით, შეიძლება მოიყვანონ ანონიმური მოწმე და ვერც გაიგო, ვინ არის ეს მოწმე.

ლ.რ: მე მგონი, ზუსტად საპირისპიროსთან გვაქვს საქმე. ჩვენ აპრილში მიღებული ცვლილებების შედეგად, საერთოდ, ნებისმიერი წერილობითი მტკიცება იურიდიული ძალის არმქონედ გამოვაცხადეთ. ეს არის ის გადაწყვეტილება, რომელიც პარლამენტმა მიიღო. მასში, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი სრულად არის დაცული. ყველა იმ ჩვენებას, რომელიც მოწმემ, ბრალდებულმა თუ დაზარალებულმა სასამართლო პროცესის დაწყებამდე გააკეთა, არანაირი იურიდიული ძალა არ ექნება. ყველაფერი, რაც სასამართლო განაჩენის საფუძველში შეიძლება დაიდოს, უნდა იყოს ნათქვამი და გამოკვლეული სასამართლოს სხდომაზე. იმ დროს, როდესაც გამომძიებელი სასამართლომდე დაკითხავს რომელიმე მოწმეს თავის კაბინეტში, ბუნებრივია, მხარეთა თანასწორუფლებიანობა დაცული ვერ იქნება. ყველანაირი მტკიცებულება სასამართლოში მსჯელობის საგანი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს, თუკი ის ორივე მხარის მიერ გამოკვლეული იქნება. გამორიცხულია, რომ ანონიმური ჩვენება დასაშვებ მტკიცებულებად ჩაითვალოს. პირიქით, ამის საპირისპირო რაღაც გაკეთდა და ამ თვალსაზრისით საქართველო ძალიან უნიკალურ მაგალითს წარმოადგენს.

ა.ე: მსმენელს აინტერესებს, სად წავიდა ასლან აბაშიძის ქონება, ის აუქციონზე უნდა გაყიდულიყო... ამ საკითხთან დაკავშირებით თუ არის საქმის კურსში "თავისუფლების ინსტიტუტი". დიდი მითქმა-მოთქმა იყო, თუნდაც აბაშიძის "ჰამერებთან" დაკავშირებით.

ლ.რ: არ მიმიდევნებია თვალყური და დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით. ერთი რამ ნამდვილად ვიცი, რომ გიგი უგულავის მეუღლეს ამ "ჰამერებთან" არანაირი კავშირი არ აქვს. ეს ან, უბრალოდ, ბინძური მონაჭორია, ან რაღაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. რაც შეეხება ასლან აბაშიძის ქონებას, თუკი ამის შესახებ საზოგადოებას ინფორმაციის მიღება სურს, ეს ჟურნალისტური გამოძიების საგანი უნდა გახდეს.

"პროკრედიტ ბანკს" მაღალი საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა

"პროკრედიტ ბანკს" სააგენტო "Fitch"-ის მიერ ახალი "B" საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა, რომელიც გასული წლის CCC+ რეიტინგს ორი პუნქტით აღემატება. ეს გახლავთ საქართველოში შესაძლო ყველაზე მაღალი საერთაშორისო რეიტინგი, რომელიც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბანკისთვის, არამედ მთლიანად ქვეყნისთვის, რადგანაც, სააგენტო Fitch-ის შეფასებით, საქართველოში ეკონომიკური კლიმატის გაუმჯობესების ტენდენციას ასახავს.

გრძელვადიან პერსპექტივაში რეიტინგის პროგნოზები ფასდება სტაბილურად. ბანკის შეფასებისას კი სააგენტომ გაითვალისწინა აქციონერთა მხრიდან მხარდაჭერის მზადყოფნა, სასესხო პორტფელის სწრაფი ზრდა, მართვის მაღალი დონე, აქტივების გაუმჯობესებული ხარისხი, სასესხო პორტფელის მაღალი დივერსიფიკაცია და მოზიდული სახსრების ზრდა.

24 საათი

უცხოეთი

დაგვიანებული შურისძიება

ლეონიდ კუჩმა შეიძლება გაასამართლონ

როგორც ჩანს, უკრაინის "ნარინჯისფერმა" ხელისუფლებამ სათავეში მოსვლიდან ათი თვის შემდეგ მაინც გადაწყვიტა ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტზე "შურისძიება". გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინის შსს ლეონიდ კუჩმას მალე ბრალს წაუყენებს. შინაგან საქმეთა მინისტრის იური ლუცენკოს თქმით, სისხლის სამართლის საქმე ყოფილი პრეზიდენტის დაფუძნებული საქველმოქმედო ფონდის მიერ გადასახადების დამალვასთან დაკავშირებით არის აღძრული.

მიუხედავად გასულ ზამთარში მაიდანზე არაერთხელ გაჟღერებული ბრალდებებისა კუჩმას წინააღმდეგ, დღემდე უკრაინის ყოფილი ლიდერი ხელშეუხებელობით სარგებლობდა: უკრაინის სამართალდამცავ ორგანოებს ექს-პრეზიდენტისადმი აქამდე არც ერთი სერიოზული ბრალდება არ წაუყენებია. სხვათა შორის, ლეონიდ კუჩმა არც ოფიციალურად არ დაუდანაშაულებიათ ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობაში მონაწილეობაშიც, ეს მაშინ, როცა რევოლუციამდე ოპოზიცია აცხადებდა, რომ სწორედ ყოფილმა პრეზიდენტმა შეუკვეთა წარმოშობით ქართველი ჟურნალისტის მკვლელობა.

მართალია, უმაღლესი რადას კომისიამ ამ მკვლელობაზე პასუხისმგებლობა მთლიანად წინა ხელისუფლებას დააკისრა, მაგრამ გენპროკურატურაში საქმის გამოძიება შეფერხდა მთავარი მოწმის - შსს-ს ყოფილი ხელმძღვანელის ლეონიდ კრავჩენკოს უცნაური სიკვდილის გამო.

ამჟამად "ნარინჯისფერებმა" კუჩმას დაპატიმრება სხვა საბაბით გადაწყვიტეს. შსს-ს პრეტენზიები გაუჩნდა საქველმოქმედო ფონდის მიმართ, რომელიც თავის დროზე ყოფილმა პრეზიდენტმა დააფუძნა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით საუბარია, დაახლოებით, 20 მლნ გრივნის (4 მლნ აშშ დოლარი) გადასახადების დამალვაზე. აღსანიშნავია, რომ კუჩმამ საქველმოქმედო ფონდი "უკრაინა" ჯერ კიდევ პრეზიდენტობისას, 2004 წლის ბოლოს, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურამდე დაფუძნა. ოფიციალურად, აღნიშნული ფონდის მთავარი მიზანი ნიჭიერი ახალგაზრდობის მხარდაჭერის გზით, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა იყო.

ახალ ხელისუფლებას კუჩმას მიერ დაარსებული ფონდი თავიდანვე არ მოუვიდა თვალში. მისი შემოწმება ჯერ კიდევ აპრილში დაიწყეს. ძალოვანებმა "მოინახულეს" ფონდის ოფისი კიევის ცენტრში. ამავდროულად, სამართალდამცველებმა დაიწყეს გამოძიება საფეხბურთო კლუბ "დინამოს" მიერ ფონდში 6 მლნ გრივნის (1,5 მლნ აშშ დოლარი) ჩარიცხვის ფაქტთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, მოძიებული მასალების შესახებ დიდი ხნის განმავლობაში არაფერი გახმაურებულა.

"ნარინჯისფერმა" ხელისუფლებამ მაინც გადაწყვიტა ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტზე "შურისძიება".

მაგრამ ორი დღის წინ ცნობილი გახდა, რომ სისხლის სამართლის საქმე არა მარტო აღძრეს, არამედ მალე სასამართლოშიც გადაიგზავნება. შსს-ს ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა იური ლუცენკომ კიევის ყოველკვირეულ გამოცემა "ზერკალო ნედელი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ კუჩმას ფონდთან დაკავშირებით გამოძიება "დასარულს უახლოვდება".

"მის ფონდში თანხები ირიცხებოდა ოფშორული კომპანიების ანგარიშებიდან, რომელთა უკანაც, პრაქტიკულად, ყველა შემთხვევაში მხოლოდ უკრაინის ოლიგარქიული ოჯახები დგანან. რასაკვირველია, ამ თანხებიდან კუთვნილ გადასახადს არავინ იხდიდა," - ამბობს ლუცენკო.

მინისტრმა დააზუსტა, რომ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ბრალდებებს კონკრეტულ პირებს წაუყენებენ. **"მას შემდეგ, რაც ჩვენ უკრაინის საკონტროლო-სარევიზიო სამმართველო საჭირო ცნობებს მოგვანვდის, შსს შესაბამის ბრალდებებს წაუყენებს,"** - აცხადებს მინისტრი. ჯერჯერობით უცნობია, რა საფრთხეს შეიძლება უქადდეს ლეონიდ კუჩმას ეს საქმე. **"ვეჭვობ, რომ ბატონი კუჩმა არასოდეს დაინტერესებულა გადასახადებით,"** - ამბობს მინისტრი და მიანიშნებს, რომ, შესაძლოა, კუჩმამ ერთ დროს საქვეყნოდ ცნობილი განგსტერის ალ-კაპონეს ბედი გაიზიაროს. (ცნობილი განგსტერი, სხვა რომ ვერაფერი დაუმტკიცეს, გადასახადების დამალვის ბრალდებით გაასამართლეს).

24 საათი

საკადრო ცვლილებები რუსეთის ხელისუფლებაში

და გავლენის ზრდა ცენტრალურ აზიაში

პუტინის და კარიმოვის შეხვედრა.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა მთავრობის შემადგენლობაში და თავის ადმინისტრაციაში საკადრო ცვლილებები განახორციელა. დმიტრი მედვედევი, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა, პირველ ვიცე-პრემიერად დაინიშნა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობა კი ტიუმენის ოლქის ყოფილმა გუბერნატორმა სერგეი სობინინმა დაიკავა.

ასევე ვიცე-პრემიერად დაინიშნა სერგეი ივანოვი, რომელმაც ამავდროულად თავდაცვის მინისტრის პოსტი შეინარჩუნა.

როგორც პუტინმა მთავრობის წევრებთან გუშინ გამართულ თათბირზე განაცხადა, ვოლგისპირეთის ფედერალურ ოლქში პრეზიდენტის სრულუფლებიან წარმომადგენლად სერგეი კირიენკოს ნაცვლად ბაშკირეთის პროკურორი ალექსანდრ კონოვალოვი დაინიშნა. ქალაქ ყაზანის ადმინისტრაციის მეთაური კამილ ისხაკოვი კი შორეული აღმოსავლეთის ფედერალურ ოლქში პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის პოსტზე კონსტანტინ პულიკოვსკის შეცვლის.

პუტინის თქმით, მედვედევი და ივანოვი ვიცე-პრემიერებად მთავრობის თავმჯდომარის მიხაილ ფრადკოვის წინადადებით დანიშნა.

თუმცა, გუშინ რუსეთში, საკადრო ცვლილებების გარდა, მეორე მნიშვნელოვანი მოვლენაც მოხდა. რუსეთისა და უზბეკეთის პრეზიდენტებმა პუტინმა და კარიმოვმა მოსკოვში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ორ ქვეყანას შორის სამოკავშირეო ურთიერთობის შესახებ.

კრემლის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, ეს დოკუმენტი რუსეთ-უზბეკეთის 2004 წლის 16 ივნისს ხელმოწერილი სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების ლოგიკური გაგრძელება იქნება, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთ-უზბეკეთის თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარების საქმეში.

ხელშეკრულების პროექტი კი, როგორც რუსული მედიაც ამტკიცებს, უპრეცედენტო სამხედრო-სტრატეგიული და თავდაცვითი ალიანსის შექმნას ითვალისწინებს.

ხელშეკრულებაში, ფაქტობრივად, ღია ტექსტითაა ნათქვამი, რომ მოსკოვი მზად არის, უზბეკეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილ კრიზისულ ვითარებაში ჩაერიოს, თუკი რეჟიმის სიმტკიცეს საფრთხე შეექმნება.

ამის ნაცვლად ტაშკენტმა მოსკოვს უზბეკეთის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზის განთავსების ნება უნდა დართოს.

"უსაფრთხოების უზრუნველყოფის, მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, მხარეები აუცილებლობის შემთხვევაში ცალკეული ხელშეკრულების საფუძველზე ერმანეთს უფლებას აძლევენ, გამოიყენონ მათ ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ობიექტები," - ნათქვამია ხელშეკრულების პროექტში.

გარდა ამისა, პუტინმა და კარიმოვმა ევრაზიის ეკონომიკურ თანამეგობრობაში ინტეგრაციული პროცესების დაჩქარების შესაძლებლობასა და წლის ბოლომდე ამ ორგანიზაციაში უზბეკეთის შესვლის საკითხებზეც იმსჯელეს.

ინტერპრესნიუსი

მშვიდობისათვის აუცილებელი საზღვარი

ვირველი გვერდიდან

პალესტინის ავტონომიის ლიდერ მაჰმუდ აბასთან გამართულ მოლაპარაკებებზე მხარეებმა ღაზას სექტორის გავლით ტვირთებისა და ხალხის ეგვიპტის მიმართულებით თავისუფალ გადაადგილებაზე შეთანხმებას მიაღწიეს. საგულისხმოა, რომ მოლაპარაკებებისას აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა არიელ შარონზე უპრეცედენტო გავლენა მოახდინა და პალესტინის ავტონომიის ხელისუფლებასთან მშვიდობიან მოლაპარაკებათა განახლების პარალელურად, სავარაუდოდ, ისრაელის ლიდერი გამშვები პუნქტების "კარნი"-სა და "რაფაჰი"-ს გახსნაზეც დაიყოლია (აღნიშნულ გამშვებ პუნქტთა გახსნა პალესტინის ტრანსპორტს, ღაზას სექტორის გავლით, იუდეისა და სამარიის მიმართულებით თავისუფალი გადაადგილების საშუალებას მისცემს). საგულისხმოა, რომ ღაზას სექტორიდან ებრაელთა წასვლის შემდეგ, გამშვებ პუნქტ "რაფაჰი"-სთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები ისრაელის ხელისუფლებას სერიოზულ თავის ტკივილად ექცა. სექტორის ტერიტორიიდან ებრაულ დასახლებათა და საჯარისო დანაყოფთა საბოლოოდ გასვლამდე, გამშვებ პუნქტ "რაფაჰი"-ს გავლით პალესტინელთა მხრიდან იარაღის კონტრაბანდის გადატანის გახშირებულ შემთხვევათა გამო, ისრაელის ხელისუფლებამ ის დახურა. თუმცა, ღაზას სექტორიდან ებრაელთა გასვლისთანავე ათასობით პალესტინელმა, ეგვიპტელ და პალესტინელ მესაზღვრეთა მხრიდან აღმოჩენილი წინააღმდეგობის მიუხედავად, გამშვებ პუნქტზე არსებული ნანაღობები გაარღვია და ეგვიპტის ტერიტორიაზე შეიჭრა. ისრაელის სპეცსამსახურების განცხადებით, საზღვარზე არსებული ქაოსით პალესტინელი ექსტრემისტული დაჯგუფებები სარგებლობენ და ღაზას სექტორში საბრძოლო იარაღი დიდი რაოდენობით შეაქვთ. აღნიშნულ ინფორმაციას პალესტინის მხარეც ადასტურებს და აცხადებს, რომ გასული დღეების განმავლობაში ღაზას სექტორი დიდი ოდენობით იარაღის შეტანის შემდეგ, ავტონომიის ხელისუფლება იძულებული გახდა, გამშვები პუნქტი დაებლოკა.

რეგიონში შექმნილი მძიმე ვითარების ფონზე ისრაელის ხელისუფლებამ სასაზღვრო ზოლში დაცვა გააძლიერა. არსებული ვითარების მიუხედავად, კონდოლიზა რაისმა რეგიონში მშვიდობის დამყარების იმედი გამოთქვა. **"იმ შემთხვევაში, თუ პალესტინა ტერორიზმს გაუმკლავდება, ხოლო ისრაელის ხელისუფლება მეზობელ ავტონომიასთან ურთიერთობაში სწორ ნაბიჯებს გადადგამს, რეგიონში მშვიდობის დამყარება შესაძლებელი იქნება

institute for war and peace reporting
ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი

ოპოზიციის მიტინგი ბაქოში

ოპოზიციის აქტივისტები გამარჯვების მოედანზე მთავრობის გადადგომის მოთხოვნით იკრიბებიან

შაჰინ რზაევი, მარგარიტა ახვლედიანი, ბაქო

ოპოზიციის ათასობით მომხრემ, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საპარლამენტო არჩევნებმა მასობრივი დარღვევებით ჩაიარა, 13 და 9 ნოემბერს ბაქოში დემონსტრაციები მოაწყო. ამ ორ აქციას შორის, იმავე ადგილზე მიტინგი მთავრობის მომხრეებმაც გამართეს.

მოვლენის ადგილას მყოფი IWPR-ის კორესპონდენტის ვარაუდით, ოპოზიციის მიტინგებში დაახლოებით 10-დან 15 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. მთავრობის წარმომადგენლები კი ამტკიცებენ, რომ მომიტინგეთა რაოდენობა ორჯერ ნაკლები იყო.

ოპოზიციური პარტიები დემონსტრაციაზე ერთიანი ფრონტით წარდგნენ. ბლოკების – ,,აზადლიგის" (,,თავისუფლება"), ,,ეინი სიასეტისა" (,,ახალი პოლიტიკა") და ,,მილი ბირლიკის" (,,ეროვნული ერთიანობა") ლიდერები გამარჯვების მოედანზე გვერდიგვერდ იდგნენ.

ცენტრალური მოედანი ბლოკ ,,აზადლიგის" ნარინჯისფერი სიმბოლოებით იყო გადავსებული და თუნდაც ეს ფაქტი მოწმობდა, რომ აქციის წამყვანი ძალა სწორედ ეს ბლოკი გახლდათ. ,,აზადლიგი", თავის მხრივ, სამ უმსხვილეს ოპოზიციურ ძალას – სახალხო ფრონტს, პარტია ,,მუსავათისა" და აზერბაიჯანის დემოკრატიულ პარტიას აერთიანებს.

ოპოზიცია კენჭისყრის შედეგების გაუქმებასა და ახალი არჩევნების ჩატარებას ითხოვს. ,,ჩვენ (კენჭისყრის შედეგების) ტოტალური ფალსიფიკაციის წინააღმდეგ გამოვდივართ. ჩვენ ხალხი გვიჭერს მხარს და ქუჩაში 100-150 ათასი ადამიანის გამოყვანა შეგვიძლია. ჯერ ყველაფერი არაა დაკარგული. სულით არ დაეცეთ!", – მიმართა შეკრებილებს ბლოკ ,,აზადლიგის" ერთ-ერთმა ლიდერმა, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა პანახ ჰუსეინმა.

ეს იყო მიტინგი ძალადობის გარეშე. აქცია გამარჯვების მოედნიდან მსვლელობით დაიწყო. ხალხს ნარინჯისფერი სიმბოლოები მოჰქონდა. ისმოდა მოწოდებები – ,,გადადექი!" და ,,თავისუფლება!".

ტრანსპარანტებზე ლოზუნგები ინგლისურ ენაზეც კი ეწერა: ,,კმარა დემოკრატიის ნავთობზე გაცვლა!" და ,,პრეზიდენტო ბუშ, დაგვეხმარეთ აზერბაიჯანული დემოკრატიის მშენებლობაში!".

ბაქოში მიტინგმა მშვიდობიანად ჩაიარა. პოლიცია მომიტინგეებისგან გარკვეულ დისტანციას ინარჩუნებდა. თუმცა IWPR-ის კორესპონდენტის ცნობით, რეგიონებში სამართალდამცავები სხვაგვარად იქცეოდნენ.

ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქ შეკინში პოლიციამ ოპოზიციის სამი აქტივისტი დააკავა. ქალაქ განჯის გამოსასვლელებში სპეციალური საპოლიციო პოსტები დააყენეს. აქტივისტების ხშირად იძახებდნენ პოლიციის განყოფილებებში და ბაქოს მიტინგებში მონაწილეობისგან თავის შეკავების შესახებ აფრთხილებდნენ.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აღიარა, რომ ზოგიერთ დარღვევას მართლაც ჰქონდა ადგილი და თავიდან ორი ოლქის შედეგები გააუქმა. შემდეგ კიდევ ერთი ოლქის შედეგებიც გაუქმდა. რამდენიმე სხვა ოლქში განვითარებულ მოვლენებს ამჟამადაც იძიებენ.

ქვეყნის ხელისუფლება, როგორც ჩანს, ფალსიფიკაციის გარკვეული შემთხვევების არსებობას თავადაც აღიარებს. პრეზიდენტმა ალიევმა არჩევნების დღეს დაშვებული სერიოზული დარღვევების გამო ორი რაიონის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ოპოზიციამ საპროტესტო აქციების სამომავლოდ გაგრძელების გეგმის შესახებაც განაცხადა. თუმცა დემონსტრაციის ზოგიერთი მონაწილის აზრით, დროში გაწელილი მიტინგები საპროტესტო მოძრობას შეასუსტებს.

,,მათ ამ მიტინგის გამართვაც დააგვიანეს. რაღა აზრი აქვს კიდევ ორი დღე მოცდას? აშკარაა, რომ ისინი მთავრობასთან ვაჭრობენ", – გვითხრა 9 ნოემბრის მიტინგის ერთ-ერთმა მონაწილემ.

ბაჟინ რზაევი, ბაქო

ოპოზიციის მიტინგი გამარჯვების მოედანზე

აფხაზეთი დიასპორას მოქალაქეობას სთავაზობს

ახალი კანონის თანახმად, აფხაზეთის მოქალაქეობის მიღება ყველა ეთნიკურ აფხაზს შეეძლება, მათაც კი, ვინც რესპუბლიკაში არ დაბადებულა.

ინალ ხაშიგი, სოხუმი

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის მიერ დიასპორის წარმომადგენლებისთვის მოქალაქეობის შეთავაზება მიზნად იმ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა რაოდენობის გაზრდას ისახავს, რომელიც დღეს რესპუბლიკის მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებს შეადგენს.

12 წლის წინ აფხაზეთის მიერ დამოუკიდებლობის თვითნებურად გამოცხადების შემდეგ მის ხელისუფლებას ყოველთვის უწევდა იმ პრობლემასთან ჭიდილი, რომ აფხაზები მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ შეადგენენ. აფხაზების რაოდენობის გაზრდის მიზნით, ოქტომბრის ბოლოს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი, რომელიც აფხაზური წარმოშობის ნებისმიერ ადამიანს მოქალაქეობის მიღების უფლებას ანიჭებს.

აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებს უარის თქმა არ მოუწევთ იმ ქვეყნის მოქალაქეობაზე, სადაც ამჟამად ცხოვრობენ. გამონაკლისი მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები არიან. ამავე დროს, აფხაზეთში ცხოვრება მხოლოდ მათთვის იქნება სავალდებულო, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მოპოვება სურს.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში, გიორგი ხაინდრავამ აღნიშნული ინიციატივა დაგმო და IWPR-თან საუბარისას აღნიშნა, რომ ამ აქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ექნება.

,,ეს ინიციატივა აფხაზეთის ხელისუფლების პოლიტიკური კულტურის დაბალი დონის მაჩვენებელია. გამოდის, რომ ადამიანთა მცირე ჯგუფს, რომელიც ,,აფხაზეთის პარლამენტად" იწოდება, წარმოდგენა არა აქვს, რას ნიშნავს ადამიანის უფლებები. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველო აბსოლუტურად მართალია, როცა აფხაზეთში ადამიანთა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ აცხადებს", – აღნიშნა ხაინდრავამ. საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1989 წელს ჩატარებული ბოლო აღწერის მონაცემების მიხედვით, აფხაზები მაშინდელი ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის მხოლოდ 17 პროცენტს შეადგენდნენ, ქართველები კი – 43 პროცენტს.

კონფლიქტის დასრულების შემდეგ ათობით ათას ქართველს საკუთარი სახლის დატოვება მოუხდა, რამაც ეთნიკური ბალანსი აფხაზების სასარგებლოდ შეცვალა. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც მხოლოდ ,,შედარებით უმრავლესობას" წარმოადგენენ და არა აბსოლუტურ უმრავლესობას. გასულ წელს ჩატარებული აღწერის მონაცემების მიხედვით, აფხაზეთის მოსახლეობის 44 პროცენტი აფხაზია, 26 პროცენტი – სომეხი, ხოლო 21 პროცენტი – ქართველი. შეუძლებელია იმის განსაზღვრა, დიასპორის რამდენი წარმომადგენელი მიიჩნევს საკუთარ თავს ეთნიკურ აფხაზად. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, თურქეთში, სირიასა და იორდანიაში, სადაც აფხაზთა დიასპორის უმრავლესობა ცხოვრობს, მათი რაოდენობა 500 ათასს აჭარბებს.

აშკარაა, რომ მოქალაქეობის შესახებ კანონში წარმოდგენილი ცვლილებები მიზნად აფხაზეთში დიასპორის წარმომადგენელთა დაბრუნების პროცესის მოტივირებას ისახავს. საზღვარგარეთ მცხოვრები დიასპორა იმ ასობით ათასი აფხაზისა და სხვა ჩრდილო-კავკასიური ხალხების შთამომავალია, რომლებიც ოსმალეთის იმპერიაში მას შემდეგ გაიქცა ან გააძევეს, რაც ეს უკანასკნელი კავკასიის ომებში რუსეთთან დამარცხდა. აფხაზეთის პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის ვლადიმირ ნაჩაჭ-ოღლის განცხადებით, ახალი კანონი აფხაზების სამშობლოში დაბრუნებას პროცესს აიოლებს.

,,თუ დავფიქრდებით, რამდენად ცოტა აფხაზი ცხოვრობს თავის ისტორიულ სამშობლოში, რეპატრიაციის საკითხი ჩვენი ეროვნული იდეა უნდა გახდეს. ჩვენი ერისა და სამშობლოს ბედი სწორედ ამაზეა დამოკიდებული", – განაცხადა მან IWPR-თან საუბრისას.

ოქტომბრის დასაწყისში აფხაზეთის პრეზიდენტთან სერგეი ბაგაფშთან შეხვედრისას თურქეთში მცხოვრები დიასპორის ლიდერებმა წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებები მოიწონეს და განაცხადეს, რომ ამ მოვლენამ, შეაძლოა, ბევრ ადამიანს დაბრუნების სტიმული გაუჩინოს.

პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ თურქეთში მცხოვრები აფხაზების მასობრივად დაბრუნება ნაკლებად მოსალოდნელია. ,,მალე თურქეთი ევროკავშირში გაწევრიანდება. რატომ უნდა მოუნდეს მის მოქალაქეს საცხოვრებლად უცნობ ადგილას გადასვლა – მით უმეტეს, ისეთ ადგილას, სადაც მუდმივად საქართველოსთან გარდაუვალ ომზე საუბრობენ?" – განუცხადა მან IWPR-ს.

ზაქარეიშვილის განცხადებით, დიასპორის 600 წარმომადგენლიდან, რომლებიც აფხაზეთში 1993 წლის შემდეგ დასახლდნენ, უმრავლესობა თურქეთში დაბრუნდა. აფხაზეთში საცხოვრებლად მხოლოდ 60 მათგანი დარჩა.

ერთ-ერთი პრობლემა, რომლის დაძლევაც აფხაზეთში ახალი ცხოვრების დაწყების მსურველ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მოუწევთ, ენობრივი ბარიერია – მათ, როგორც წესი, რუსული არ იციან. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად აფხაზურია სახელმწიფო ენა, მთავრობისა და პარლამენტის სხდომებზე რუსულად საუბრობენ.

საკუთარ საქმიანობას მშობლიურ ენაზე მხოლოდ კულტურის სამინისტრო და აფხაზური ენის განვითარების სახელმწიფო ფონდი წარმართავენ.

რესპუბლიკაში ერთადერთი აფხაზურენოვანი გაზეთის ,,აფსნის" რედაქტორი ბორის ტუჟბა მიიჩნევს, რომ სირცხვილია, როცა კვირაში გაზეთის მხოლოდ 100-150 ეგზემპლარი იყიდება. დანარჩენი (850-900 ეგზემპლარი) სამთავრობო დაწესებულებებს აქვთ გამოწერილი.

,,ჩვენ კერძო ხელმომწერები არ გვყავს, ეს გაზეთი მხოლოდ სამთავრობო სტრუქტურებს აქვთ გამოწერილი. მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ ,,აფსნის" ისინი მაინც კითხულობენ", – განაცხადა მან.

აფხაზური ენა მხოლოდ სოფლებშია შენარჩუნებული, ქალაქის მცხოვრებნი კი, ძირითადად, რუსულად საუბრობენ. რამდენიმე წლის წინ სოხუმში აფხაზური ენის შემსწავლელი უფასო კურსები გაიხსნა, თუმცა იქ რამდენიმე ადამიანი თუ სწავლობს.

ითვლება, რომ უცხოელისთვის აფხაზური ენის შესწავლა ძალიან რთულია. ენის შესწავლის მსურველებს არა მხოლოდ რთული გრამატიკის დაძლევა უწევთ, არამედ ბგერების მრავალნაირად წარმოთქმის შესწავლაც – აფხაზურში სამჯერ მეტი თანხმოვანი ბგერაა, ვიდრე რუსულში ან ინგლისურში. მაგრამ ნუთუ ენა ეთნიკურობის განმსაზღვრელი ერთადერთი ნიშანია? მწერალი ბორის გურგულია მიიჩნევს, რომ ეთნიკური თვითშეგნება უფრო ღრმა ცნებაა.

,,აფხაზ ხალხს აერთიანებს ,,აფსუარა" – აფხაზთა ქცევის დაუწერელი კოდექსი, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ყალიბდებოდა", – განუცხადა გურგულიამ IWPR-ს.

,,სწორედ ,,აფსუარას" წესების დაცვა მოგვცემს ჩვენი თვითშეგნების შენარჩუნებისა და ერთიანი აფხაზი ერის ნაწილად დარჩენის საშუალებას", – დასძინა მან.

აფხაზეთზე რუსეთის ძლიერ გავლენას მხოლოდ ენის ფაქტორი არ განაპირობებს. აფხაზეთის მოსახლეობის 80%-ზე მეტს რუსეთის პასპორტი აქვს. მას შემდეგ, რაც რესპუბლიკამ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნაზე უარი თქვა, აფხაზეთის მცხოვრებლებს საზღვარგარეთ თავისუფლად გადაადგილება აღარ შეეძლოთ. ეს მდგომარეობა 2002 წლამდე გაგრძელდა – სანამ მოსკოვმა მათ რუსეთის მოქალაქეობის მიღება არ შესთავაზა.

საკუთარი სახლების დაბრუნების მიზნით 40-დან 50 ათასამდე ქართველი დევნილი აფხაზეთის სამხრეთ ნაწილში მდებარე გალის რაიონში დაბრუნდა. მრავალწლიანი მოლაპარაკებების მიუხედავად, მათი სტატუსისა და საბოლოო დაბრუნების უფლების შესახებ, ჯერჯერობით, შეთანხმება მიღწეული არ არის. აფხაზეთის მოქალაქეობის მისაღებად მათ საქართველოს მოქალაქეობის უარყოფა მოუწევთ.

ზაქარეიშვილის აზრით, ახალი კანონის მიღება დისკრიმინაციის მიუღებელ დონეს შექმნის.

,,აფხაზებს ეჩვენებათ, რომ მოქალაქეობის თავისუფლად ,,დარიგებით" მსოფლიოს აჩვენებენ, როგორი დემოკრატიულები არიან. მაგრამ სინამდვილეში, ეს ელემენტარულ ჰუმანიტარულ სტანდარტებსაც არ შეესაბამება", – განაცხადა მან.

,,ამ კანონის მიღებით, ისინი უხეშად ახარისხებენ ხალხს პირველი და მეორე კლასის მოქალაქეებად. არსებობს მესამე კლასიც – ქართველები. მაშინ, როცა აფხაზეთის სხვა მოქალაქეებს შეუძლიათ იმავდროულად რუსეთის მოქალაქეებიც იყვნენ, ქართველებისთვის აფხაზური პასპორტის მისაღებად საქართველოს მოქალაქეობის უარყოფაა აუცილებელი", – დასძინა ზაქარეიშვილმა.

აფხაზეთი ახალი იმიგრანტების დეფიციტს ნამდვილად არ განიცდის. თუმცა, მათ იურიდიული სტატუსი არ გააჩნიათ და რომც მოინდომონ, მოქალაქეობის მიღებას მაინც ვერ შეძლებენ, რადგან ამისათვის ხუთი წლის განმავლობაში აფხაზეთში ცხოვრებაა აუცილებელი. ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდა, განსაკუთრებით ტურიზმის სფეროში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, ძირითად სომხეთიდან, რუსეთიდან და ტაჯიკეთიდან უამრავ მიგრანტს იზიდავს. პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა განაცხადა, რომ იგი მოქალაქეობას მიანიჭებს ნებისმიერ უცხოელ ბიზნესმენს, ვინც აფხაზეთის ეკონომიკაში სულ მცირე 2 მილიონ ამერიკული დოლარს დააბანდებს.

სოხუმელი იურისტი თამაზ ქეცბა მიიჩნევს, რომ დიასპორის წარმომადგენელი ინვესტორების მიერ თანხის ჩადება დაამშვიდებდა ადგილობრივ მოსახლეობას, რომელსაც უცხოური კაპიტალის შიში აქვს.

„აფხაზეთის ეკონომიკა მხოლოდ ახლა იწყებს განვითარებას და მას ინვესტიციები ესაჭიროება. მაგრამ არსებობს შეშფოთების საფუძველი – ადგილობრივი ინვესტორების არარსებობის პირობებში უცხოურმა კაპიტალმა ქვეყნის უსაფრთხოებას, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას. ახალი კანონი აფხაზური დიასპორის წარმომადგენელთა მხრიდან ინვესტირების სტიმულირებას მოახდენს, რაც თავის მხრივ ქვეყანაში უცხოური კაპიტალის მოზღვავების მიმართ ადგილობრივთა შეშფოთებას შეამცირებს", – განაცხადა მან.

ინალ ხაშიგი, გაზეთ „ჩეგემსკაია პრავდას" რედაქტორი აფხაზეთში, გაზეთ „პანორამას" თანარედაქტორი, რომელიც IWPR-ის მხარდაჭერით გამოიცემა. ამ სტატიის დაწერაში მონაწილეობდა მარგარიტა ახვლედიანი, IWPR-ის კავკასიის პროგრამის რეგიონული დირექტორი და რედაქტორი

institute for war & peace reporting

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით. სამსახური ყოველკვირეულად აქვეყნებს ადგილობრივი ჟურნალისტების მიერ მომზადებულ ახალი ამბების ობიექტურ ანალიზს

ბილეთი გროზნოსკენ

ჩეჩნეთის დედაქალაქის აეროპორტში სამგზავრო რეისები მომავალ წელს განახლდება.

ასია რამაზანოვა, გროზნო

გროზნოს დანგრეული აეროპორტი ნაგავსაყრელზე ოდნავ უკეთესი სანახავია. ტერმინალისკენ მიმავალი, დაჟანგული მავთულხლართებითა და ბალახით დაფარული გზა დანგრეულ შენობებთან მთავრდება. ერთ-ერთზე ჯერ კიდევ იკითხება წარწერა „გროზნო". ორმა გამანადგურებელმა ომმა აეროპორტს თავისი კვალი დაატყო, მაგრამ დღეს მისი განახლება, როგორც იქნა, დაიწყო. იმის მიუხედავად, რომ ინფრასტრუქტურა, ჯერჯერობით, ხელუხლებელია, პირველი სამოქალაქო რეისების დანიშვნა მომავალი წლიდან იგეგმება.

რუსეთის ტრანსპორტის სამინისტრომ აეროპორტში აღდგენითი სამუშაოების განსახორციელებლად 346 მილიონი რუბლი გამოყო. ასაფრენი ბილიკების განახლება უკვე მიმდინარეობს.

ამჟამად მგზავრები იძულებული არიან, ჩეჩნეთიდან მეზობელ ინგუშეთში გადავიდნენ. ისინი ინგუშეთის დედაქალაქთან, ნაზრანთან ახლოს მდებარე აეროპორტიდან მოსკოვში მიფრინავენ. აეროპორტის გახსნა მგზავრებისთვის სასიხარულო ამბავია. რუსეთის დედაქალაქამდე მგზავრობის ბილეთი ნაზრანიდან 4100 რუბლი ღირს (დაახლოებით 145 დოლარი), გროზნოს აღდგენილი აეროპორტიდან კი, სავარაუდოდ, 2800 რუბლი ეღირება.

აეროპორტის განახლება 2000 წელს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ფინანსური და სხვა პრობლემების გამო სამუშაოების განხორციელება გადაიდო.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დაჟინებით მოითხოვს აღდგენილი აეროპორტის „ვაინახავიასთვის" გადაცემას. „ვაინახავია" ფედერალური სახელმწიფო საჰაერო სააგენტოს შვილობილი კომპანიაა, რომელიც სამშენებლო სამუშაოებზეა პასუხისმგებელი.

„ვაინახავიას" დირექტორის მოადგილემ სახმელეთო მომსახურების საკითხებში ადამ მალსაგოვმა IWPR-ს განუცხადა, რომ გამოყოფილი 345 მილიონი რუბლი საკმარისი არ არის. სამუშაოების დასასრულებლად კიდევ 1,3 მილიარდი რუბლი – 45 მილიონი დოლარია საჭირო. მისი თქმით, მოსკოვმა გამართული ტექნიკური გეგმებისა და რეალისტური ფასების დამტკიცება დროულად ვერ მოახერხა.

„გამოყოფილი თანხები სამშენებლო სამუშაოების პირველი ფაზის დასამთავრებლადაც კი არ არის საკმარისი", – განაცხადა მალსაგოვმა. რეკონსტრუქციის მეორე ფაზა აეროპორტის სასტუმროს მშენებლობას ითვალისწინებს.

საგულისხმოა ისიც, რომ ჩეჩნეთს არც საკუთარი თვითმფრინავები აქვს და არც ავიაკომპანია. რესპუბლიკის ხელისუფლების მაღალჩინოსნების მცდელობების მიუხედავად, ფედერალური ბიუჯეტიდან ამისათვის თანხა არ გამოყოფილა.

აეროპორტს საინტერესო უახლესი ისტორია აქვს. ჩეჩნეთის პირველი პოსტსაბჭოთა პრეზიდენტის, ჯოხარ დუდაევის დროს აეროპორტიდან რეისები თურქეთში, ირანში, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებსა და ლიტვაში მოსკოვის სანქციის გარეშე ხორციელდებოდა. იმ პერიოდში დუდაევმა აეროპორტს სახელი გადაარქვა და შეიხ მანსურის სახელი უწოდა. XVIII საუკუნეში შეიხ მანსური რუსეთის წინააღმდეგ ჩეჩნების პირველ აჯანყებას ხელმძღვანელობდა. აეროპორტი ერთ-ერთი პირველი იყო იმ ნაგებობათაგან, რომლებიც 1994-96 წლების კონფლიქტის დროს დაინგრა.

ზულაი ალდამოვა აეროპორტიდან ორი კილომეტრით დაშორებულ პატარა დასახლებაში ცხოვრობდა, სადაც სულ 15-მდე შენობაა განლაგებული. მას კარგად ახსოვს, როგორ ინგრეოდა აეროპორტი. „პირველი ომის დროს იქ შეიარაღებული ჩეჩნები იყვნენ გამაგრებული, – თქვა ალდამოვამ, – ისინი აეროპორტს იცავდნენ. მოგვიანებით, პერიმეტრზე რუსი ჯარისკაცები განლაგდნენ და დაბომბვა დაიწყეს, მაგრამ ჭურვები აეროპორტის ნაცვლად ქალაქს ხვდებოდა. ქალაქის დასაცავად ჩეჩნები იძულებული გახდნენ, აეროპორტი დაეტოვებინათ".

პირველი და მეორე ომის შუალედში ჩეჩნეთის მომდევნო პრეზიდენტმა, ასლან მასხადოვმა მოსკოვთან შეთანხმებას მიაღწია. გადაწყდა, რომ აეროპორტი 1997 წლიდან საერთაშორისო რეისებს განახორციელებდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ორი მხარე საბაჟო და სასაზღვრო საკითხებზე ვერ შეთანხმდა, 1998 წლის მარტში მასხადოვმა აეროპორტის დახურვა გადაწყვიტა. ახალი შეთანხმების მიღწევამდე კი ომი ხელახლა გაჩაღდა.

2000 წელს, გროზნოს დაცემის შემდეგ, აეროპორტი რუსი სამხედროების განკარგულებაში გადავიდა. მათ აეროპორტს არმიის საპატივცემლო „სევერი" უწოდეს.

აღდგენის შემდეგ აეროპორტს კვლავ ძველი სახელი – „გროზნო" დაუბრუნდება, მაგრამ მის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველასყოფად ათობით სამხედრო ყაზარმა კვლავაც იარსებებს.

პირველი სამგზავრო რეისი გროზნოდან მოსკოვში განხორციელდება. მოგვიანებით, მომდევნო წლის განმავლობაში კიდევ ერთი რეისის გახსნაა შესაძლებელი.

იმაში დასარწმუნებლად, რომ სანავიგაციო და მგზავრთა ნაკადის საკონტროლო სისტემები გამართულად მუშაობს, მიმდინარე წლის ბოლოს საცდელი რეისები განხორციელდება. აგრეთვე აღსადგენი და განსაახლებელია სასიგნალო, რადიო და მეტეოროლოგიური სისტემებიც.

შესწორებები საპროცესო კოდექსში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"კატეგორიულად ვეწინააღმდეგები 161-ე მუხლის მე-3 ნაწილის შეცვლას, ეს ეწინააღმდეგება ევროკონვენციას, რომელსაც საქართველოა მიერთებული. თავის დროზე იურიდიული კომიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელმა მიხეილ სააკაშვილმა და მე სერიოზული წინააღმდეგობა გავუწიეთ კახა თარგამაძეს, რომელიც ოპერატიული საქმიანობის ჩატარების ნებართვას ითხოვდა, მაშინ მხარი დაგვიჭირა ევროსაბჭომ, პირადად, მათიას იორშმა და ეს სანქცია ამოვიღეთ კანონიდან, ახლა მისი პირვანდელი სახით ამოქმედება დაუშვებელია," - განაცხადა ელენე თევდორაძემ, რომელიც სასამართლო დარბაზებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დასწრების შეზღუდვასაც ეწინააღმდეგება და პროექტში ამ მიმართულებითაც შესწორებების შეტანას ითხოვს.

ელენე თევდორაძის თქმით, გასარკვევია, ასევე, შინა პატიმრობის საკითხი. ცვლილებების პროექტით უქმდება აღკვეთის ღონისძიების სახეები - გაუსვლელობის ხელწერილი, პოლიციის ზედამხედველობა და შინა პატიმრობა. პროექტით, აღკვეთი ღონისძიების - სამთვიანი წინასწარი პატიმრობის ალტერნატიულ არასაპატიმრო ფორმად რჩება პირადი თავდებობა და გირაო. თუმცა, ელენე თევდორაძის მოთხოვნით, პარლამენტმა პირველი მოსმენისას ცვლილებების ერთიან პაკეტს შინა პატიმრობის გაუქმების გარეშე უყარა კენჭი. როგორც ელენე თევდორაძე აცხადებს, აღკვეთის ღონისძიების ისეთი ფორმის, როგორიცაა შინა პატიმრობის გაუქმება, დაუშვებელია. ელენე თევდორაძის განცხადებით, შინა პატიმრობის გაუქმება განსაკუთრებით უარყოფითად სოციალურად დაუცველ ფენებზე იქონიებს გავლენას. **"დანაშაული, ძირითადად, სწორედ სოციალურად დაუცველ ფენებში ხდება, მათი დანაშაული ზოგჯერ 30 ლარის ღირებულებას არ აღემატება. ასეთ ადამიანებს კი გირაოს გამოყენებისათვის ფინანსური საშუალებები არ გააჩნიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი პირდაპირ ციხეში უნდა წავიდნენ. ეს კი უსამართლობაა",** - განაცხადა ელენე თევდორაძემ ცვლილებების პროექტის განხილვისას.

ელენე თევდორაძე პროექტის კიდევ ერთ სიახლეს - ანონიმურ შეტყობინებებზე სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების საკითხსაც აპროტესტებს. მისი თქმით, აუცილებელია სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებებში ცალსახად განისაზღვროს შემთხვევები, როდესაც სამართალდამცველებმა ანონიმურ შეტყობინებაზე რეაგირება უნდა მოახდინონ. ელენე თევდორაძე მიიჩნევს, რომ ანონიმური შეტყობინების საფუძველზე მოკვლევის განხორციელება მკაცრად რეგლამენტირებული უნდა იყოს და ის განსაკუთრებული კატეგორიის დანაშაულზე უნდა მოხდეს. იგი დასაშვებად მიიჩნევს ტერორიზმის, მკვლელობის, ყაჩაღობისა და ნარკოტრანზიტის შესახებ ანონიმური ინფორმაცია სამართალდამცველთა დაინტერესების წყარო გახდეს.

საბოლოოდ, პარლამენტის თავმჯდომარე და ადამიანის უფლებების დამცველი პარლამენტარი კანონპროექტში შესატან შესწორებებზე შეთანხმდნენ. ამ შესწორებების შეტანას, ზოგ შემთხვევაში კი პროექტით გათვალისწინებული სიახლის საერთოდ გაუქმებას საპარლამენტო ოპოზიციაც ითხოვდა. პარლამენტის იურიდიული კომიტეტის მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებებს არ ეთანხმებიან არც პრაქტიკოსი იურისტები. **"მინდა აღვნიშნო, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ბოლო ხანებში შესული ყველა ცვლილება, ან ცვლილებები, რომელთა შეტანაც დაგეგმილია, ბრალდების მხარის ინტერესებს იცავს და ადეკვატური დაცვის განხორციელების საშუალებას სპობს. არადა, დემოკრატიის მთავარი პრინციპი ხომ სწორედ ეს არის, რომ ნებისმიერი მოქალაქის კანონით გარანტირებული ყველა უფლება სრულფასოვნად იყოს დაცული. ახლაც, ადვოკატებისთვის გამოძიების მასალების ქსეროასლების გადაღების აკრძალვა პირდაპირ არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ სასამართლოს შეჯიბრებითობის პრინციპს. რას იტევს საკუთარ თავში შეჯიბრებითობის პრინციპი? იმას, რომ ბრალმდებელმა და ადვოკატმა, კარგი გაგებით, ზეწოლა მოახდინონ მოსამართლეზე, თანაბარუფლებიანობის პირობებში საკუთარი არგუმენტები წარუდგინონ მას, რის შემდეგაც, მოსამართლე გადაწყვეტილებას მიიღებს. ამ ცვლილებების მიღების შემდეგ კი თანაბრობის პრინციპი ირღვევა და, შესაბამისად, ვერც შეჯიბრებითობაზე იქნება შესაძლებელი ლაპარაკი. გამოძიების მასალების ასლების გადაღების აკრძალვით ადვოკატს ართმევენ ერთ-ერთ ყველაზე დიდ რამეს - გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე,"** - აცხადებს ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით საპროტესტო მსვლელობა მოაწყო სალომე ზურაბიშვილმა და მისმა მხარდამჭერებმაც. სხვათა შორის, პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებების პაკეტზე საუბრისას ყველაზე ხშირად სწორედ სალომე ზურაბიშვილსა და მისი მოძრაობის გუშინწინდელ საპროტესტო გამოსვლას ახსენებდნენ, რომელმაც, როგორც ჩანს, საპარლამენტო უმრავლესობა გააღიზიანა კიდეც და ცვლილებების პროექტის შესწორებების პაკეტის მომზადებაც დააჩქარებინა.

24 საათი

მოკლედ

იმერეთში მოქმედი სამშობიაროები პლაცენტით უკანონოდ ვაჭრობენ

ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის იმერეთის სამხარეო დეპარტამენტის ხელმძღვანელობისთვის ცნობილი გახდა, რომ იმერეთში მოქმედი სამშობიაროები პლაცენტით უკანონოდ ვაჭრობენ. ისინი აპირებენ ამის გამო ძალოვან უწყებებს მიმართონ. პირველადი ინფორმაციით, ჯერჯერობით დაუდგენელი ჯგუფი "უაზის" ტიპის ორი ავტომანქანით მოძრაობს და სამედიცინო დაწესებულებებიდან მიზერულ თანხებში ყიდულობს პლაცენტებს. ყოველი შაბათს პლაცენტები ქუთაისის აეროპორტიდან რუსეთში იგზავნება. **"პლაცენტით ვაჭრობის საკითხი ამ ეტაპზე საკანონმდებლო სივრცის გარეთაა დარჩენილი. კანონით მისი გაყიდვა აკრძალული არ არის. სანქცირებულია, მხოლოდ ორგანებით ვაჭრობა ტრანსპლანტაციის მიზნით. თუმცა არ არის მითითებული აკრძალვა კონკრეტულად პლაცენტით ვაჭრობაზე. ამის გამო ხდება ვაჭრობა პლაცენტებით",** - აცხადებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის იმერეთის სამხარეო დეპარტამენტის თავმჯდომარე ლაშა კილაძე. სავარაუდოდ, იმერეთიდან გატანილ პლაცენტებს პარფიუმერიაში იყენებენ. საზღვარგარეთ მას ასევე წარმატებით მოიხმარენ ქირურგიულ პრაქტიკაში, თუმცა მისთვის საგანგებო პირობების შექმნაა საჭირო. ამ ეტაპზე დადგენილი არ არის პლაცენტებით მოვაჭრე ჯგუფის წევრთა ვინაობა. **ინტერპრესნიუსი**

რუსმა სამშვიდობოებმა აფხაზ მილიციელებთან ერთად სოფელ შამგონაში სროლა ატეხეს

ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონაში, რომელიც გალის რაიონის სოფელ თაგილონს ესაზღვრება, გუშინ დილით, სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები ჯავშანტექნიკით შევიდნენ.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, რუს სამშვიდობოებთან ერთად იმყოფებოდნენ ასევე სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები, სავარაუდოდ, აფხაზური მილიციის წარმომადგენლები. მათ გადმოლახეს მდინარე ენგური, შეიჭრნენ ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონას ტერიტორიაზე, სადაც რამდენიმე წუთის განმავლობაში ისროდნენ სხვადასხვა სახის იარაღიდან.

თვითმხილველთა თქმითვე, სროლა ყუმბარმტყორცნიდანაც კი მიმდინარეობდა. თუმცა თავდამსხმელები ძირითადად იყენებდნენ ჯავშანტრანსპორტიორის ტყვიამფრქვევს და ასევე ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღს. რამდენიმე წუთიანი სროლის შემდეგ, ჯავშანტრანსპორტიორი, რომელსაც რუსეთის სამშვიდობო ძალების ამოსაცნობი ნიშანი ჰქონდა, უკან გაბრუნდა.

აღსანიშნავია, რომ გალის რაიონის სოფელ თაგილონის ტერიტორიაზე მდებარეობს რუსეთის სამშვიდობო ძალების ერთ-ერთი პოსტი და სავარაუდოდ, ჯავშანტექნიკა სწორედ ამ პოსტის აღჭურვილობაში შედიოდა.

მომხდართან დაკავშირებით, რუსეთის სამშვიდობო ძალები კომენტარს არ აკეთებენ.

ქართული მხარე ამ ფაქტის გასაჩივრებას აპირებს. ეს ინციდენტი ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე მსჯელობის საგანი გახდება.

ინტერპრესნიუსი

საკონსტიტუციო სასამართლომ აბაშიძის ადვოკატთა არგუმენტაცია მოისმინა

საკონსტიტუციო სასამართლომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის და მისი ოჯახის წევრების ინტერესების დამცველთა არგუმენტაცია მოისმინა. როგორც ცნობილია, ერთი კვირის წინ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელით, ადვოკატები სოსო ბარათაშვილი და შალვა შავგულიძე "საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის" და "საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის" იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვენ, რომლითაც "უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის" პროცედურაა განსაზღვრული. პროცესზე მოპასუხე მხარედ საქართველოს პარლამენტია დასახელებული.

თუკი საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმებს დაუსაბუთებლად ცნობს, აღნიშნული გადაწყვეტილება ავტომატურად შეეხება ყველა იმ მოქალაქეს, რომელთა ქონების დასაბუთებულობაზეც ამ დრომდე სხვადასხვა ინსტანციის სასამართლომ იმსჯელა.

ადვოკატების არგუმენტებით, სადავო ნორმები საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ საკუთრების უფლებას, უდანაშაულობის პრეზუმფციას და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებს ეწინააღმდეგება. **"გარდა ამისა, სადავო ნორმები კანონს დამამძიმებელი კუთხით უკუქცევის ძალას ანიჭებს, რაც ასევე, კონსტიტუციას ეწინააღმდეგება"**, - განუცხადეს ასლან აბასიძის ადვოკატებმა გუშინ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი პრეცედენტული გადაწყვეტილებები შეახსენეს.

მათი განმარტებით, სადავო ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე, 42-ე და სხვა მუხლებს, რადგან არ შეიძლება პირის საკუთრების უფლება ხელყონ მანამ, სანამ მისი ბრალეულობის საკითხი არ დადასტურდება.

"გარდა ამისა, კონსტიტუციის თანახმად, კანონის ჰუმანურობის პრინციპიდან გამომდინარე, სამართლებრივ ნორმას არ შეიძლება უკუქცევითი ძალა მიენიჭოს, თუ იგი მოქალაქის მდგომარეობას ამძიმებს. მაშინ, როცა აბაშიძეები 1990 წლიდან ქონებას იძენდნენ, მათ საკუთრების დასაბუთებულობის დოკუმენტი არ მოეთხოვებოდათ. 2004 წლის მონაცემებით კი, მათ აღნიშნული დოკუმენტი მოსთხოვეს, რაც დამძიმების კუთხით კანონის ნორმის უკუქცევითობაა", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა.

გუშინდელ განმწესრიგებელ სხდომაზე არ გადაწყვეტილა, მიიღებს თუ არა წარმოებაში და განიხილავს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო ასლან აბაშიძის ადვოკატების სარჩელს. გუშინ, როგორც უკვე გითხარით, საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიამ მხოლოდ ადვოკატთა არგუმენტები მოისმინა. სარჩელის წარმოება-ში მიღება-არმიღების შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

24 საათი

The British Airways Sale

FROM $410

LONDON HEATHROW RETURN

3 FLIGHTS A WEEK

To book, visit ba.com, call us on (32) 940 719/20 or see a travel agent.

BRITISH AIRWAYS

Fare quoted is for a return economy flight departing from Tbilisi and excludes all taxes, fees and charges correct as at 26/10/05. Flights must be booked on or before 31/03/06 and outbound travel completed on or before 31/03/06. Fares are subject to availability and are non-refundable. For full terms and conditions, visit ba.com. Services operated by BMED.

მონაცემთა ბაზის ასისტენტი/SLT მდივანი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს მონაცემთა ბაზის ასისტენტის/SLT მდივნის თანამდებობის დასაკავებლად. მონაცემთა ბაზის ასისტენტი/SLT მდივანი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს აღწერა:

მონაცემთა ბაზის ასისტენტი/SLT მდივანი იმუშავებს BP-ს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გუნდში და პასუხისმგებელი იქნება ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერისა და მთელი გუნდისათვის საჭირო დახმარების გაწევაზე.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

მონაცემთა ბაზის ასისტენტის/SLT მდივნის მოვალეობებს და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

- ზოგადი ადმინისტრაციული სამუშაოს შესრულება საქართველოში BP-ის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერისათვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გუნდის ხელმძღვანელისა და ამ გუნდისათვის;
- ზოაგდი ადმინიტრაციული სამუშაოს შესრულება უსაფრთხოების ხელმძღვანელობის გუნდისათვის (SLT);
- შეხვედრების (SLT, შეხვედრები ჯანდაცვის საკითხებზე და სხვა) ოქმებისა და დღის წესრიგების წარმოება;
- ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებისადმი პასუხისმგებლობის გამოვლენა;
- BP-ს თანამშრომელთათვის, მათ შორის საველე უსაფრთხოების ოფიცრებისათვის, BP-ს უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ტრენინგების ჩატარებისათვის ხელშეწყობა;
- გუნდების მიერ ჩატარებული სამუშაოს მიხედვით მილსადენის გასხვისების დერეფნის რუქის განახლება დათვარიელების ფურცლების ყოველღიური მოთხოვნის საფუძველზე;
- მილსადენის ინციდენტების ანგარიშების დაარქივება და ორგანიზება;
- შემთხვევების მართვისა და ანალიზის სისტემის (IMAS) ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- მონაცემთა ბაზის წარმოება ყველა იმ შემდგომი ქმედების აღსარიცხავად, რომელიც თან მოჰყვება ინციდენტების/პოტენციური ინციდენტების ანგარიშებს;
- ყოველთვიური ბიულეტენის მომზადება და გამოშვება;
- ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებისადმი პასუხისმგებლობის გამოვლენა;
- აქტიური მონაწილეობა უსაფრთხოების პროგრამებში;
- STOP-ისა და ASA-ს პროგრამების მონაცემების განახლება და შემდგომი ქმედების აღრიცხვა;
- შემთხვევების მართვისა და ანალიზის სისტემის (IMAS) ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- მოქმედების აღრიცხვის სისტემის (ATS) მონიტორინგი და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში შესყიდვებისა და მომსახურების შეკვეთების ადმინისტრირება MAXIMO-ს სისტემაში;
- მილსადენის კომპანიაში შემომავალი და გამავალი კორესპონდენციის აღრიცხვა;
- საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტებისა და შეხვედრების თარგმნა;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

მოთხოვნები:

კანდიდატს უნდა ჰქონდეს:

- მინიმუმ ორი წლის სამუშაო გამოცდილება დასავლურ ორგანიზაციაში;
- დოკუმენტების კონტროლის, მათ შორის კორესპონდენციის, მონაცემებისა და ტექნიკური ინფორმაციის მართვის გამოცდილება;
- კანდიდატი თავისუფლად უნდა ფლობდეს ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებს (წერილობით, სასაუბრო);
- შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება: MS Word, Excel, PowerPoint;
- ადმინისტრაციული სისტემების ჩამოყალიბებისა და უზრუნველყოფის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი, თანამშრომლებისა და სხვა გუნდის წევრებთან ურთიერთობის უნარი;
- საჭიროების შემთხვევაში დამატებითი საათების განმავლობაში მუშაობა;
- კონტრაქტებზე და სხვა სახის იურიდიულ დოკუმენტებზე მუშაობის მრავალმხრივი ცოდნა/გამოცდილება;
- შეხვედრების ოქმების წარმოების (სტენოგრაფიული ან სწრაფი ჩანაწერების გაკეთება) გამოცდილება და უნარი.

კანდიდატი უნდა:

უწყობდეს ხელს უსაფრთხოების კულტურის "საფეხურეობრივ განვითარებას";

- მზად იყოს, საჭიროების შემთხვევაში, გაემგზავროს და დარჩეს ქალაქგარეთ.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **30 ნოემბერი, 2005 ოთხშაბათი**.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
BP Explorations Caspian Sea Ltd.

უსაფრთხოების ასისტენტი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს უსაფრთხოების ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად. უსაფრთხოების ასისტენტი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს აღწერა

უსაფრთხოების ასისტენტი ანგარიშვალდებული იქნება მილსადენის კომპანიის უსაფრთხოების მენეჯერის წინაშე და მისი ძირითადი მოვალეობაა ზოგადი დახმარე ადმინისტრაციული სამუშაოს შესრულება.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები

უსაფრთხოების ასისტენტის მოვალეობებს და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

- ზოგადი ადმინისტრაციული დახმარების გაწევა მილსადენის კომპანიის უსაფრთხოების მენეჯერისათვის;
- BP-ს თანამშრომელთათვის, მათ შორის საველე უსაფრთხოების ოფიცრებისათვის, BP-ს უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ტრენინგების ჩატარებისათვის ხელშეწყობა;
- გუნდების მიერ ჩატარებული სამუშაოს მიხედვით მილსადენის გასხვისების დერეფნის რუქის განახლება დათვარიელების ფურცლების ყოველღიური მოთხოვნის საფუძველზე;
- მილსადენის ინციდენტების ანგარიშების დაარქივება და ორგანიზება;
- შემთხვევების მართვისა და ანალიზის სისტემის (IMAS) ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- მონაცემთა ბაზის წარმოება ყველა იმ შემდგომი ქმედების აღსარიცხავად, რომელიც თან მოჰყვება ინციდენტების/პოტენციური ინციდენტების ანგარიშებს;
- ყოველთვიური ბიულეტენის მომზადება და გამოშვება;
- ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებისადმი პასუხისმგებლობის გამოვლენა;
- აქტიური მონაწილეობა უსაფრთხოების პროგრამებში;
- დახმარების გაწევა "მიღებული გამოცდილების" ანგარიშების წარმოებაში, რათა მოხდეს კორექციული მოქმედების განხორციელება; "მიღებული გამოცდილების" ანგარიშების წარმოების მიზანია შეინარჩუნოს და აკონტროლოს თავდაპირველი ინციდენტი და თავიდან იქნეს აცილებული დაშვებული შეცდომის განმეორება;
- "მიღებული გამოცდილების" ანგარიშების დაარქივება და ორგანიზება;
- მილსადენის კომპანიაში შემომავალი და გამავალი კორესპონდენციის აღრიცხვა (DVR-ების ჩათვლით);
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში შესყიდვებისა და მომსახურეობის შეკვეთების ადმინისტრირება და კონტროლი MAXIMO-ს სისტემაში;
- საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტებისა და შეხვედრების თარგმნა;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

მოთხოვნები:

კანდიდატს უნდა ჰქონდეს:

- მინიმუმ ორი წლის სამუშაო გამოცდილება დასავლურ ორგანიზაციაში;
- დოკუმენტების, მათ შორის კორესპონდენციის, მონაცემებისა და ტექნიკური ინფორმაციის, კონტროლის გამოცდილება;
- კანდიდატი თავისუფლად უნდა ფლობდეს ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებს (წერილობით, სასაუბრო);
- შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება: MS Word, Excel, PowerPoint;
- ადმინისტრაციული სისტემების ჩამოყალიბებისა და უზრუნველყოფის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი, თანამშრომლებისა და სხვა გუნდის წევრებთან ურთიერთობის უნარი;
- საჭიროების შემთხვევაში დამატებითი საათების განმავლობაში მუშაობა;
- კონტრაქტებზე და სხვა სახის იურიდიულ დოკუმენტებზე მუშაობის მრავალმხრივი ცოდნა/გამოცდილება;
- შეხვედრების ოქმების წარმოების (სტენოგრაფიული ან სწრაფი ჩანაწერების გაკეთება) გამოცდილება და უნარი.

კანდიდატი უნდა:

უწყობდეს ხელს უსაფრთხოების კულტურის "საფეხურეობრივ განვითარებას";

- მზად იყოს, საჭიროების შემთხვევაში, გაემგზავროს და დარჩეს ქალაქგარეთ.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **30 ნოემბერი, 2005 ოთხშაბათი**.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
BP Explorations Caspian Sea Ltd.

დავით კოვზირიძის სვეტი

შესანიშნავი შვიდეულის ბანანა

ბრაზილია

რაც უფრო ახლოვდება 2006 წლის ზაფხული, მით ფფრთხშირად მესმის და მიწევს კამათი იმაზე, თუ რომელი საფეხბურთო სკოლის კაპიტანი ეამბორება გერმახიაძე ოქროს თასს. კანდიდატების სია 21-ე საუკუნემდეც უცვლელია: ბრაზილია, არგენტინა, იტალია, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია და რომელიმე მეტად საეჭვო ხაკრები, სიურპრიზი. დღესდღეობით პატივცემული საბრალოება გაბას, შექსიკას და შვედეთს აწვება.

იქამდე კიდევ შვიდი თვეა და ვინაიდან ნამდვილი ფავორიტიც შვიდი გვყავს, მოდი, თვეში ერთ მაგარ ბაკურ ბე ვიხაასოთ. დავიწყოთ ბრაზილიით და მივყვეთ ბეჭით მოყვანილ თანმიმდევრობას.

რა ხდებოდა მეორე მსოფლიო ომამდე, ვერ გეტყვით, მაგრამ 1950 წლიდან მოყოლებული, ბრაზილიის ეროვნული გუნდი ყოველ ოთხწლედში ფავორიტობის ტვირთს ეკისრება. ეს არ არის შემთხვევითი, რადგან მას მერე ჩემპიონობის მეტჯერ გაიმართა და ბრაზილიელებიც ორჯერ კიცე ჩემპიონები გახდნენ, ერთხელ მესამეზე გავიდნენ და ნახევარფინალს გადაუჯოკრეს. ეს რვა გამოვიდა. მაიტომაც დანარჩენ შემთხვევებშიც გაზაფხულობით იყო ლაპარაკი, რომ ესა და, რა თქმა უნდა, ბრაზილია.

მსოფლიოს ჩემპიონატებზე ამ ქვეყნის ტრიბუნა არსებოს ყოფილა სადავო და საჭორაო. მეტიც, ხშირად, როცა ესა ხდებოდა ჩემპიონი, განსწავლული მიმტკიცებდნენ, რომ ბრაზილია თუ არ ჯობდა, არანაკლები ჩემპიონატებულა ოფიციალურად საუკეთესოს.

ყველა შემთხვევაში ზუსტად ასე იქნება მსოფლიოს მომავალი პირველობის შემდეგაც, რადგან ფაქტია - ამ ეპოქაში არავინაა ბრაზილიის ნაკრებზე ღონიერი და ოდაბი. ჰოდა, მოიგებს თუ არა პარეირას სამმო, ნამდვილად ფავორიტია მაინც აღიარებს ამ გუნდის საუცხოობას.

პენტაკამპეონებს კამპეონე მწვრთნელი პყავთ, რაც არ ისე ბევრს ნიშნავს. კარლოს ალბერტო პარეირამ 94-ში ბრაზილიას თითქმის კატენაჩო ათამაშა და ჩემპიონობის მოიხა დავად, ბევრი საყვედურის მოსმენაც მოუხდა, დიდს სხვა ითარებაა - ამ გუნდს სულ რომ მათრახით დაადევი, თითოულ ფეხბურთელს რომ მილიონი აჩუქო, ვერაფერს კი არა, ოდნავ დაცვით ფეხბურთსაც ვერ ათამაშებ. ანუ პარეირა ნაკლებ გზით ვერ ივლის, რადიკალურად უნდა შეიცვალოს ტაქტიკა და შეცვალა კიდეც - მხოლოდ შეტევა.

თუმცა ეს არაა ის ბრაზილია, რომელიც მხოლოდ წინ იყურება. თუნდაც ის, 1982 წელს რომ დახაზა და რისისთან ხაგო. მაშინ მას საზიზღარი მეკარე და ისე რა დაცვა ჰყავდა.

ახლა ასე არ არის. ახლა ბრაზილიის ხაკრები იმდენად იდეალური გუნდია, ფიქრიც კი ჭირს იმაზე, თუ როგორ ძეიძლება მისი დამარცხება. ამ ორკესტრს ყველა ძეძსრულებელი ძალიან მაგარი ჰყავს.

მეკარის ტრადიციული პრობლემა ასი პროცენტითაა ძლევარებული: თუ ბოლო წლებში ბრაზილიელებს ერთი კარგი კიპერი ჰყავდათ (ტაფარელი 1994,98, ძანჯისი 2002), ახლა ორი ჯიგარი ჭიდაობს კარში ჩადგომაზე - დიდა და გოძეში. ძე თუ მკითხავთ, ასეთი მდიდარი არჩევანი მხოლოდ იტალიელებს აქვთ.

დაცვაშიც ხოშიანი კონკურენციაა. განსაკუთრებით მარჯვენა ფრთაზე, სადაც მსოფლიო კლასის ხაბი ბცეკლია მწვრთნელის განკარგულებაში: კაფუ, ბელლეტი და სისინიო. მოპირდაპირე ფლანგზე კი რობერტო კარლოსის ლიმუზინის მემკვიდრე ჯერ არ გამოჩენილა. გამხანაგე ფილიპაში ლუსიო, აზრზე მოდის ედმილსონი, არა უშავს ლუისაოსა და ჟუანის.

წინ რაც ხდება, ყველამ გადასარეკად იცის.

საინტერესოა ის მასშტაბები, რომლითაც ბრაზილიელები მთელ დედამინას არიან მოდებულნი. ბრინცესში, ქალაქელივის ასე იყო, რაც სოკერი გლობალურად გაერცელდა, მაგრამ ამ ბიჭების მასობრივი ხარისხი არსებობს ეროვნულ ბრწყინვალე. ჩემპიონთა ლიგის თითქმის ყველა გუნდის კლუბის ლიდერი ან ლიდერთა ჯგუფი ხომ ბრაზილიელებით დანაა.

აი, გადავხედოთ: მადრიდის "რეალის" ბიგლი ბრაზილიური აქვს - რობერტო კარლოსი, ფლორენტინოს ბატონიშვილი, რონალდინიო, რონალდო. ანალოგიური მდგომარეობაა "მილანში" - დიდა, კაფუ, კაკა. "ბარსელონაც" ამ ხერხემლით ხარგებლობს: რონალდინიო, ედმილსონი, მოტა, სილვინიო. მიუნხენის "ბაიერნში" ორნი არიან - ლუსიო და ზე რობერტო. ხოდა "ინტერსა" და "ლიონში" - თითო, ოღონდ რა ქვეყნებია ეს ორი კუთხე ადრიანოსა და ჟუნინიოს გარეშე, თავად იმსჯელეთ.

და მაინც, რამ შეიძლება ხელი შეუშალოს ბრაზილიელებს მეექვსედ აცეკვებას? ჩემი აზრით, ასახი ოთხიშვიდ ღიმს: პირველი - სტატისტიკამ. მეექვსედ? ზედიზედ მეორედ? ზედიზედ მეოთხე ფინალი? კაფუ მეოთხე ფინალში ათამაშებს? პარეირა მეორედ მოიგებს ერთი ქვეყნის ნაკრებით? 21-ე საუკუნის დებიუტში მხოლოდ ბრაზილია ჩაიხუჭებს თასს? და მეორე - მუდმივად საცეკვაოდ და სამხიარულოდ გამზადებული ხასიათი. ჩვენ უკვე ვახსენეთ 1982 წლის ცხელი ესპანური ზაფხული.

ისე კი, თუ ბრაზილიის ნაკრებით დაავადებული გულშემატკივარი არ ხართ, ტაბლოს დიდი მნიშვნელობა არ ეხება ჰქონდეს. მთავარია, რომ ყველანი ერთად ეხახავთ ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ უდიადეს გუნდს, რომელიც აუცილებლად დაუვიწყარი იქნება. სამბა მოედანზე, სამბა ტრიბუნებზე, გენიალური ფეხბურთი და ძალიან, ძალიან ლამაზი გოგოები.

მომავალ სამშაბათამდე

ჩოგბურთი

ფრანგული ფინალი

მამუკა ხოშტარია

გასული კვირა საჩოგბურთო მოვლენების სიმრავლით გამოირჩეოდა. გაიმართა "WTA Tour"-ის შემაჯამებელი ტურნირი ქალთა შორის. ეს ტურნირი, სხვებისგან განსხვავებით, ჯგუფური სისტემით იმართება. ჯგუფურ ეტაპზე მხოლოდ ერთი მოულოდნელობა მოხდა: კარგ ფორმაში მყოფი ბელგიელი კიმ კლიისტერსი ტურნირს გამოეთიშა. ის ე.წ. "შავ" ჯგუფში გამოდიოდა. ამელი მორესმოსთან და მერი პირსთან დამარცხების შემდეგ მხოლოდ ელენა დემენტიევასთან გამარჯვება კი მისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა და ჯგუფიდან ფრანგები გავიდნენ. "მწვანე" ჯგუფიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, ნახევარფინალის საგზური მარია შარაპოვამ და ლინდსი დევენპორტმა მოიპოვეს.

ორივე ნახევარფინალური მატჩი დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ლოს ანჯელესის კორტზე პირველები მარია შარაპოვა და ამელი მორესმო გამოჩნდნენ. თამაში რუსი ჩოგბურთელისთვის კარგად დაიწყო. მან პირველივე გეიმი ამელის მოწოდებაზე მოიგო. შემდეგ კიდევ ერთხელ შეძლო იგივეს გამეორება და ანგარიში 5:2 გახდა რუსი ჩოგბურთელის სასარგებლოდ. მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე შარაპოვამ განაცხადა, რომ ამ დროს ზურგის ტრავმამ შეახსენა თავი. შეიძლება ამის გამოც მორესმომ შეძლო თამაშის სადავეების ხელში აღება და სეტი ტაი ბრეიკამდე მიიყვანა. მეცამეტე გეიმში მორესმომ რუსი 7:1 გაანადგურა და სეტების მიხედვით დაწინაურდა. მეორე სეტში ფრანგი დიდ უპირატესობას ფლობდა და თამაშის ბოლომდე ხელიდან აღარ გაუშვია. შარაპოვამ მატჩში 39 უნებლიე შეცდომა დაუშვა, რაც ძალიან ცუდი მაჩვენებელია. საბოლოო ანგარიში: 7:6 6:3 ამელი მორესმოს სასარგებლოდ.

სანახაობრივი თვალსაზრისით მეორე მატჩი კიდევ უფრო საინტერესო გამოდგა. ერთმანეთის პირისპირ ორი ვეტერანი - ამერიკელი ლინდსეი დევენპორტი და ფრანგი მერი პირსი წარდგნენ. 31 წლის მერი კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებს. ის შესანიშნავ ფორმაშია, რაც ამ თამაშმაც ცხადყო. დევენპორტს ტრიბუნების მხურვალე მხარდაჭერამაც ვერ უშველა. ორივე სეტში ტაი ბრეიკის გამართვა გახდა საჭირო. პირველ პარტიაში მერიმ 4 სეტ-ბოლი ვერ გამოიყენა და მხოლოდ მეხუთე ცდით მოიგო.

მეორე სეტიც ანალოგიური სცენარით წარიმართა. ჩოგბურთელები თავიანთ მოწოდებებს თანმიმდევრულად იგებდნენ. მეცამეტე სეტში კი კვლავ ფრანგმა იმარჯვა: 8:6. საერთო ჯამში 7:6 7:6 და ფინალში თანამემამულე ამელი მორესმოს დაუპირისპირდა. ჯგუფურ ეტაპზე ამ ჩოგბურთელთა შეხვედრაში მერი პირსმა გაიმარჯვა.

ტურნირის 35-წლიან ისტორიაში პირველი ფრანგული ფინალი, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან დაძაბულად წარიმართა და სამ საათსა და შვიდ წუთს გაგრძელდა.

პირველ სეტში გადამწყვეტი გამოდგა მეთერთმეტე გეიმი. მერიმ შეძლო მეტოქის მოწოდების მოგება და სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მომდევნო სეტში მორესმო თავიდანვე დაწინაურდა: 4:1, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. გამარჯვებულის გამოსავლენად მეცამეტე გეიმის გამართვა გახდა საჭირო, რომელშიც ამელიმ 7:3 იმარჯვა და ანგარიში გაათანაბრა. გადამწყვეტი სეტი ანალოგიური სცენარით წარიმართა. მორესმო კვლავ თავიდანვე დაწინაურდა: 2:0, მაგრამ პირსმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხა. მატჩის კულმინაციური მომენტი მესამე სეტის მეცხრე გეიმი გამოდგა. მორესმომ პირსის მოწოდება მოიგო და შემდეგ მატჩიც თავის სასარგებლოდ დაასრულა.



ამელი მორესმო მსოფლიო ჩემპიონია.

ამელი პირველი ფრანგი ჩოგბურთელია, ვინც ეს ტურნირი მოიგო.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე მორესმოს სიხარულის გამოსახატავად სიტყვები არ ჰყოფნიდა. მხოლოდ იმის თქმა მოახერხა, რომ ძალიან ბედნიერია. მერი პირსმა მეტოქეს გამარჯვება მიულოცა და აღნიშნა, რომ ამელი მოგებას ნამდვილად იმსახურებდა.

მორესმოს ამ ტურნირის ნახევარფინალამდეც არასდროს მიუღწევია, რაც მის გამარჯვებას კიდევ უფრო დასაფასებელს ხდის.

■ ■ ■

შანხაიში ანალიგიური ტურნირი დაიწყო მამაკაც ჩოგბურთელთა შორის. გაიმართა ორი შეხვედრა. ე.წ. "წითელ" ჯგუფში ხორვატმა ივან ლუბიჩიჩმა არგენტინელი გილერმო კორია იოლად: 6:2 6:3 დაამარცხა. სამხრეთამერიკელი ამ ტურნირზე მოუშუშებელი ტრავმით ასპარეზობს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ თუნდაც სრულიად ჯანმრთელს ჰარდ კორტზე ლუბიჩიჩისთვის სერიოზული პრობლემები შეექმნა. სწრაფი კორტების მოყვარული ხორვატი ამ სეზონს ბრწყინვალედ ატარებს და, სპეციალისტების აზრით, ტურნირის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია.

მეორე შეხვედრაში მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა როჯერ ფედერერმა დაძაბულ ბრძოლაში დევიდ ნალბანდიანი დაამარცხა: 6:3 2:6 6:4. დევიდი, სხვა არგენტინელი ჩოგბურთელებისგან განსხვავებით, სწრაფ კორტებზე არცთუ ურიგო თამაშით გამოირჩევა. ფედერერი ტრავმის შემდეგ პირველ ტურნირს ატარებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამ მატჩში შვეიცარიელს რომ იოლი გასეირნება არ ელოდა, თავიდანვე ნათელი იყო.

ვაჭები:

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	1245
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	953
3. ენდი როდიკი (აშშ)	617
4. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	498
5. ანდრეა აგასი (აშშ)	455
6. გილერმო კორია (არგენტინა)	438
7. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	418
8. ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია)	416
9. გასტონ გაუდიო (არგენტინა)	370
10. მარატ საფინი (რუსეთი)	346
130. ირაკლი ლაბაძე (საქართველო)	**25**

ქალები:

1 (1) ლინდსეი დევენპორტი (აშშ)	4910
2 (2) კიმ კლიისტერსი (ბელგია)	4829
3 (4) ამელი მორესმო (საფრანგეთი)	4030
4 (3) მარია შარაპოვა (რუსეთი)	3958
5 (5) მერი პირსი (საფრანგეთი)	3797
6 (6) ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია)	2936
7 (8) პეტრა შნიდერი (შვეიცარია)	2774
8 (7) ელენა დემენტიევა (რუსეთი)	2748
9 (10) ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი)	2638
10 (9) ვენუს უილიამსი (აშშ)	2628

კრივი

კლიჩკო შეიძლება დაბრუნდეს

ვიტალი კლიჩკო შეიძლება დიდ რინგს დაუბრუნდეს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ კრივს ლეგენდარული ინგლისელი ლენოქს ლუისი დაუბრუნდება.

8 ნოემბერს უკრაინელს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს, რამაც მუხლის მძიმე ტრავმა აღმოაჩინა. მოკრივეს ოპერაცია გაუკეთეს, რომელიც საათნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა.

"ბოლო პერიოდი ჩემთვის ტრავმებთან ბრძოლა უფრო იყო, ვიდრე მეტოქეებთან პაექრობა. პროფესიულ კრივში უმაღლეს შედეგს მივაღწიე და მინდა პიკზე ყოფნისას დავანებო სპორტს თავი. მომავალში ვაპირებ უკრაინაში სოციალურ-საზოგადოებრივი პროექტების განხორციელებას მივუძღვნა თავი", - განაცხადა კლიჩკომ.

ასე წავიდა უფროსი კლიჩკო დიდი სპორტიდან. თუმცა, გაირკვა, რომ არც ისე დიდი ხნით. თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონმა არ გამორიცხა დაბრუნების ვარიანტიც.

"არასდროს არ თქვა არასდროს. მე ვიტყოდი, რომ ეს ოდესმე მოხდება, მაგრამ ახლა ნაკლებად სავარაუდოა. მე დავბრუნდები იმ შემთხვევაში, თუ ლენოქს ლუისიც იგივეს გააკეთებს და ჩემთან ბრძოლაზე დათანხმდება. ის ერთადერთი მეტოქეა, რომელიც მართლა მნიშვნელოვანია ჩემთვის", - განაცხადა უკრაინელმა.

ლუისი, რა თქმა უნდა, არ დაბრუნდება, თუმცა, არც ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ კლიჩკო რინგს არ დაუბრუნდება. უფრო მეტიც. ამ ბოლო დროს უფროსი კლიჩკოს ზოგიერთი კოლეგა მიიჩნევს, რომ კარიერის დასრულება ფანდი იყო იმისთვის, რომ უკრაინელი ჰასიმ რახმანს არ შეხვედროდა. ხოლო, როცა ყველაფერი დაწყნარდება, მაშინ კრივში დაბრუნებაც შესაძლებელი იქნება. საკმარისია, გავიხსენოთ, თუ რამდენი განცხადება გააკეთა მაიკ ტაისონმა კრივში დაბრუნების შესახებ.

ვიტალი კლიჩკოს ძმის იმედი აქვს.

კლიჩკო კი მაინც მუხლის მძიმე ტრავმაზე საუბრობს. "ექიმმა მითხრა, რომ ასეთი მუხლით ერთ რაუნდსაც ვერ გავუძლებდი. ხოლო რინგზე იმისთვის გამოსვლა, რომ ვიღაცას ვეცემე და სანაცვლოდ 8 მილიონი დოლარი მიმეღო, ნამდვილად არ მხიბლავდა", - თქვა უფროსმა კლიჩკომ.

რაც შეეხება ახალგამომცხვარ ჩემპიონს, კლიჩკომ ასეთი კომენტარი გააკეთა: "ყველა კანდიდატი ძალიან ძლიერია. თუმცა, იმედი მაქვს, რომ ჩემი ძმა ვლადიმირი მოახერხებს პირველი გახდეს. უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ მისი პოტენციალი ჩემსას აღემატება. მას შეუძლია ნამდვილი ჩემპიონი გახდეს".

თვალსაზრისი

"ნახეთ მოყვასნო, ბრძენთა დასნო, ესე წესია!"

გიორგი გორგოძე

"სისხლითა ჩემით ღებულო,
ქვეყანავ ამით ქებულო
ესე რა მიქმენ უმადლოვ,
ოჰ, ვარდო, ლმობა კლებულო!"
ალ. ჭავჭავაძე "მაისის ვარდმან"

წინანდლის კულტურული მემკვიდრეობის 49-წლიანი იჯარით გაცემამ გასაგები მღელვარება გამოიწვია საზოგადოებაში და მედიაში. ყველაზე ხშირად ისმის კითხვა: რაში ხედავთ გამოსავალს? გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, სამაგიეროდ არსებობს ისეთი მდგომარეობა, რომელშიც ვერაფრით ვერ შეხვალ! წინანდლის მამულის ფაციფუცით გასხვისება ასეთ კატეგორიას განეკუთვნება.

ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი - ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა უსახსრობის გამო შვებას ითხოვს და ფაქტია, რომ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები ნამდვილად ვერ იქნებიან საკადრისად მისი პატრონ-მფყარებლები, აკი თვითონვე აღიარებენ. სხვა გზაა მოსანახი. ჩვენი წინადადებაა, წინანდლის სახლ-მუზეუმი გადაეცეს მის მოსავლელად და გასავითარებლად შესაქმნელ, დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებას, ვთქვათ, პირობითი სახელწოდებით "წინანდლის მამული". აქციების გარკვეული წილის, მაგრამ არა საკონტროლო პაკეტის, მფლობელად შეიძლება დარჩეს სახელმწიფო სტრუქტურა. აქციების მფლობელები (უსასყიდლოდ!) უნდა გახდნენ თვითონ წინანდლელები - სოფლის თითოეული მცხოვრები; აგრეთვე ის ხალხი, ვინც სახლ-მუზეუმში მუშაობდა და მუშაობს; აქციების შედარებით უფრო მოზრდილი პაკეტი უპრიანია გადაეცეს ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავლებს. აქციების უდიდესი ნაწილი უახლოესი ხუთი წელი, სანამ "წინანდლის მამული" ფეხზე დადგება, არ უნდა გაიყიდოს და შევინახოთ რეზერვში. ხუთი წლის შემდეგ შეიძლება ამ აქციების გამოტანა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე და ის რეალურად მიმზიდველი იქნება მყიდველთათვის. ამ სანუკვარ დრომდე სააქციო საზოგადოების საქმიანობას გაუძღვება სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც აქციონერებთან შეთანხმებით კონკურსის წესით შეარჩევს პროფესიონალ, მაღალანაზღაურებიან მენეჯერებს ცალ-ცალკე სახლ-მუზეუმისათვის, ღვინის ქარხნისა და ენოთეკისათვის, სასტუმრო-რეზიდენციისათვის, ისტორიული ბაღისათვის. სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელად შეიძლება განვიხილოთ ალექსანდრე ჭავჭავაძის პირდაპირი შთამომავალი ბატონი მერაბ კოკოჩაშვილი, მისი შეუბღალავი სახელი და წინანდლის მამულის სასიკეთოდ ძალისხმევა ეჭვგარეშეა. სააქციო საზოგადოების მომავალ საქმიანობაზე საუქმელი კიდევ ბევრი მაქვს, მაგრამ ალბათ უკვე უნდობლად მეკითხებით: უფულოდ როგორ გამოვა ეგ საქმე, მაგას ხომ დიდი თანხები სჭირდება?

მივადექით მთავარ სათქმელს. გამოსავლის ძიებაში ისტორიული მაგალითი გამახსენდა. ევროპულად მოაზროვნე ქართველმა, დიდმა ნიკო ნიკოლაძემ წუმპე-ტბალახიანი, ციებ-ცხელებით შეპყრობილი, ჭაობიანი სოფლის - ფოთის ადგილას ოც წელიწადში პირველხარისხოვანი ბოღაზი და საპორტო ქალაქი ფოთი ააშენა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ნიკო ნიკოლაძემ რკინის ქალამნები ჩაიცვა და პეტერბურგში მიაღწია იმას, რომ ფოთის პორტიდან გატანილ "შავ ქვაზე" ნახევარკაპიკიანი (!) საფუთო გადასახადი დააწესებინა: გატანილი თითოეული ფუთი მარგანეციდან ფოთის ბიუჯეტს ნახევარი კაპიკი რჩებოდა!

დღეს ოცდამეერთე საუკუნეა, ჩვენ მიერ ქვემოთ შემოთავაზებული გამოსავლის გზაც სხვაგვარია, მაგრამ ისტორიული პარალელები ხშირად სწორი მიმართულებისკენ გვიბიძგებს. თუკი ფოთის მომავლისათვის განმსაზღვრელი ყოველ ფუთ "შავ ქვაზე" დაწესებული ნახევარი კაპიკი გახდა, წინანდლის მამულის გადარჩენისთვის ასეთად უნდა მოვიაზროთ საუკეთესო ღვინის შესანიშნავი სახელი - "წინანდალი"! თითქოს ამას გვეუბნებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძე:

"რა სენი უკურნალ იყოს
ღვინოა იმის წამალი."

ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის საგანძურის ერთი დიდი სიმდიდრე მის სახელწოდებაში ძევს - წინანდალი! თითქმის ორი საუკუნეა, რაც "წინანდალი" ცნობილი სამარკო ნიშანია - "ბრენდ ნეიმი". მსოფლიოში საფირმო სახელის - "ბრენდის" ღირებულება ზოგ შემთხვევაში რამდენიმე მილიარდით განისაზღვრება! გაიხსენეთ ყველასათვის ნაცნობი "ბრენდები": "კოკა-კოლა", "პეპსი-კოლა", "ბუდვაიზერი", "ჰაინეკენი". კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება.

პირველი ღვინო "წინანდლის" სახელდებით ალექსანდრე ჭავჭავაძემ საკუთარ მამულში ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებში (!!) ჩამოასხმევინა. "წინანდალი" იყო და რჩება "სამტრესტის" №1 ღვინოდ, ქართული თეთრი ღვინის ყველა დროის უპირველეს საფირმო სახელად და გნებავთ, ფლაგმანად! ჰოდა, გამოსავალი იმაშია, რომ სამარკო ნიშანი - "ბრენდი" "წინანდალი" საკუთრების უფლებით უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს - ჭავჭავაძიანთ სახლ-მუზეუმს.

დღეს "წინანდალი"-ს "ბრენდ-ნეიმით" ღვინოს ასხამენ ქართული ღვინის მწარმოებელი ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორებიცაა "ჯი-ვი-ესი", "თელავის ღვინის მარანი", "თელიანი ვალი", "თბილღვინო", "შუმი", "ვაზიანი" და კიდევ ათიოდე მწარმოებელი. სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინ-

ფორმაციო სააგენტოს ცნობით, მიმდინარე წლის ათ თვეში საქართველოდან ექსპორტზე გავიდა 2 000 982 ბოთლი "წინანდალი" ("რეზონანსი" - 2005 წლის 11 ნოემბერი). წლის ბოლომდე ეს ციფრი მნიშვნელოვნად გაიზრდება. ამას უნდა დავუმატოთ "წინანდლის" გაყიდვების ოდენობა შიდა ბაზარზე და დიდი ცდომილების გარეშე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების მიერ 2005 წელს ჩამოისხმება 3 მილიონ ბოთლზე მეტი "წინანდალი".

"ბრენდის" მესაკუთრე თუ "წინანდლის მამული" გახდება, მაშინ ქართული ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა, თითოეულ ჩამოსხმულ ბოთლზე, რომელსაც "წინანდალი" ერქმევა, უნდა გადაუხადონ მესაკუთრეს სახელის გამოყენებისათვის გარკვეული მცირე თანხა, ვთქვათ ათი ცენტის ოდენობით. ეს არ არის უსაშველო საზღაური. ბოთლი (0,7 ლ) "წინანდლის" საბითუმო ფასი შიდა ბაზარზე ხუთიდან შვიდ დოლარამდეა.

სახელის გამოყენებისათვის ბოთლზე 10 ცენტის გადახდა არ იქნება ჩვენში ფართოდ ფეხმოკიდებული მანკიერების მსგავსი - ბიზნესზე "შენერვა" ხომ არახალია, ძველია. ამ შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა, გადახდა ნებაყოფლობითია - ვისაც არ სურს, კეთილი ინებოს და ღვინო სხვა სახელით გაყიდოს. "წინანდლის" მაგივრად შეუძლია დაარქვას, მაგალითად, "ვაზის ნაჟური", ანაც "ჩუმლაყი", გნებავთ "კურდღელაური" (წინანდლის მეზობელი სოფლებია). მაქსიმუმ ერთ წელიწადში კომპანია მტკივნეულად იგრძნობს განსხვავებას. მაგალითად, კომპანიამ პირობითი სახელით "კახეთის ბარაქა" 2005 წელს მხოლოდ რუსეთის ბაზარზე გაყიდა 300 000 ბოთლი "წინანდალი". მომდევნო წელს არ სურს 30 000 დოლარის გადახდა ბრენდ "წინანდალის" კანონიერი მფლობელისთვის და ამიტომ შეცვალა ღვინის სახელი. ძალიან გაუჭირდება ათჯერ ნაკლები - 30 000 ბოთლის გაყიდვაც კი ახალი სახელწოდებით, ვთქვათ, "Чумлаки" ან "Курдгелаури". რომც მოახერხოს, ღვინის ღირებულებაზე ორჯერ მეტი თანხა დასჭირდება რუსეთში სრულიად უცნობი ბრენდის "პრომოუშენისათვის".

გავიხსენოთ, თუ რა თანხის ინვესტირებას აპირებს "ამბრელა კონსალტინგი" წინანდალში - 5 მილიონი დოლარი და 49 წლის იჯარა. ეს 5 მილიონი დოლარი ვირტუალური ციფრია, საქართველოს რეალობაში ინვესტორები რეალურად ჩადებულ თანხას ქალაქდზე ღამის აორმაგებენ და ქართველი დიდმოხელენი ამას "ვერ ამჩნევენ". ყოველწლიურად მინიმუმ სამი მილიონი ბოთლი "წინანდლის" ჩამოსხმის შემთხვევაში სააქციო საზოგადოება "წინანდლის მამულის" გარანტირებული შემოსავალი სამასი ათასი დოლარი იქნება.

"წინანდლის მამულს" სტაბილური შემოსავლის წყაროს შემთხვევაში ნებისმიერი ბანკიდან შეუძლია, ვთქვათ, ათ წელიწადზე გაწერილი მილიონი დოლარის ოდენობის სესხის აღება, ამ თანხით ტერიტორიაზე არსებული რეზიდენციის მინიმუმ სამვარსკვლავიან სასტუმროდ მოწყობა, რომელიც სერიოზული შემოსავლის წყაროდ იქცევა. "წინანდლის მამულის" სამეთვალყურეო საბჭო კონკურსის წესით აარჩევს საუკეთესო ტურ-ოპერატორებს, რომლებიც მნიშვნელოვნად გაზრდიან ტურისტების ნაკადს. შემოსავლის წყაროდ უნდა იქცეს ღვინის ქარხანაც და წინანდალში ჩამოსხმული "წინანდალი" იქვე უნდა გაიყიდოს ტურისტებზე. მარნის შესანიშნავ საბანკეტო დარბაზში მუქთა სტუმრების. "უფროსობის გუნდაო" უნდა აღიკვეთოს და სხვადასხვა მომსახურება ფასიანი უნდა გახდეს: მხოლოდ ღვინის დეგუსტაცია გნებავთ - კი ბატონო, ერთ სტუმარზე ბილეთი ღირს, ვთქვათ, 5 ლარი და შეგიძლიათ 5-7 სახის ღვინის დაგემოვნება ერთი საათის განმავლობაში; კახური მწვადი და დედას პურებიც თუ გნებავთ ("ბარბექიუ-ფარტი"), მაშინ ბილეთი მეტი ღირებულება. თუ გნებავთ უფრო სერიოზული ლხინი, არსებობს შეთავაზება სახელწოდებით "ნადიმი წინანდლის მამულში", ერთ სტუმარზე ბილეთის ღირებულებაა 30 ლარი (ციფრები პირობითად მომყავს). თუ ფოლკლორულ მუსიკას ცოცხალი შესრულებით ინებებთ, გადაიხადეთ დამატებით და თქვენთვის იმღერებს ფოლკლორული ანსამბლი "წინანდალი". სტუმრებს შეიძლება შესთავაზონ ასევე "ხინკალ-ფართი" (ხინკლაობა), "ჩურჩხელა-ფართი" (თვითონ ამოავლებენ თათარაში და წაიღებენ).

ასევე შემოსავლის წყაროდ იქცევა თავისთავად საშური და სასიკეთო საქმეები: წინანდლის მამულზე, ალექსანდრე ჭავჭავაძეზე და მის ქალიშვილებზე ორეწოვანი, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნების რეალიზაცია. ბუკლეტების, კატალოგების, ალბომების, ვიდეოკასეტებისა და CD-დისკების რეალიზაცია. ეს პროდუქცია "წინანდლის მამულის" სახსრებით იქნება დაკვეთილი და შემდგომ მოგებით გაყიდული. სახლ-მუზეუმში შესასვლელი ბილეთების ფასი სოლიდური უნდა იყოს, არანაკლებ ხუთი ლარისა (მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის და წინანდლელთათვის შეღავათიანი, ანაც უფასო).

საბოლოო ჯამში, "წინანდლის მამულის" ყოველწლიურმა საფინანსო რესურსმა შეიძლება ერთ მილიონ ლარს გადააჭარბოს (49 წელზე გათვლით 49 მილიონი ლარი!). და ეს სრულიადაც არ გახლავთ "კახეთის ნიუ-ვასიუკის პროჟექტი", ეს რეალურად მიღწევადია.

"ისმინეთ, მსმენნო!" უიმედოდ ყოფნა არ ეგების და ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსით მინდა დავასრულო:

"გლახ ბედისაგან ესრეთ დასჯილი
იმედოვნებას ვუწოდებ ფარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად".

აქცენტი

ფოჩიანი კანფეტები

დახშული ზონა და ჩახარშული ელიტარები

სოფო კილასონია

არის ასეთი წიგნი, ალბერ კამიუს "შავი ჭირი". რატომღაც მხოლოდ ის მახსენდება ამ ბოლო დროს, როცა თბილისზე, თანამედროვე ქართველ კულტურის მოღვაწეებსა და ჩვენს "არტზე" ვფიქრობ. მოკლედ, იყო ქალაქი, სახელად ორანე. XX საუკუნის მეორე ნახევარი იდგა, მაგრამ მივიწყებული სნეულება მის მცხოვრებლებს მაინც ესტუმრა. თავიდან თითქოს არ დაიჯერეს, მერე შეწუხდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქალაქი აკრძალულ ზონად იქცა და საზღვრებიც ჩაიკეტა, მშვენივრად განაგრძეს ცხოვრება. მერე რა, რომ ზაფხულის სიცხეში, მტვერსა და ჭირში თანდათან იხარშებოდნენ, რა მოხდა მერე, რომ უსაყვარულოდ და უპატრონოდ იხოცებოდნენ?! მაინც ისხდნენ კაფეებში, მსჯელობდნენ საკაცობრიო საკითხებზე და თანაც როგორი პათეტიკით! ბუნებრივიცაა, ისინი მთელ დედამიწაზე მარტონი დარჩნენ, არავინ მათი მსგავსი აღარ არსებობდა. საზღვრებს მიღმა კი ის ცხოვრება მიმდინარეობდა, რომელიც მათ საერთოდაც აღარ ეხებოდათ. იმ ქალაქში კიდევ ბევრი რამ ხდებოდა ისეთი, კამიუს ეგზისტენციალიზმს რომ უყვარს ხოლმე, მაგრამ ამჯერად ეს პერიპეტიები არ გვაინტერესებს. 2005 წლის თბილისში გადმოვინაცვლოთ და ერთი რიხიანადაც ვთქვათ: ჭირი ჩვენ ღმერთმა გვაშოროსო!

თბილისი უნიკალური ქალაქია. არა იმიტომ, რომ სადღაც ახლოს თბილი წყალი მოედინებოდა, მერე ხოხობი და კიდევ ერთი ამბავი, არც იმიტომ, რომ აქ ინტერნაციონალური კულტურის კერაა, ძველი უბნები და კიდევ აბანოები. არა, უნიკალურია იმიტომ, რომ ჯერ არ არსებულა ქალაქი არც დასავლეთით, არც აღმოსავლეთით, სადაც ყოველი მეორე გენიოსი და ინტელექტუალი ყოფილაყო. ვშიშობ, არსად არ უყვართ ასე ერთმანეთის შეფასება: ჭკვიანი ქალი და ჭკვიანი მამაკაცი. არსად არ გაჩენილა ასე მყარად ჩამოყალიბებული ინსტანცია, სახელად "ინტელიგენცია" და არსად მას ისე არ შეუწუხებია საკუთარი არსებობით საზოგადოება, როგორც ჩვენთან ამ ბოლო ათეული წლების მანძილზე. ამიტომაცაა, რომ სიტყვა "საზოგადოება" ასე უცხო რჩება ჩვენთვის, მას ძალიან დიდი ხნის წინ ქართული კულტურის გენიოსები და მაესტროები ჩაენაცვლნენ, დიდი ხელოვნების კატეგორიები ერთმანეთში გადაინაწილეს და დასხდნენ მშვიდად. ისინი გახდნენ ყველას თვალები, ხალხის ყურები, მსოფლიო ტენდენციების გამზიარებელი ჩვენი დესპანები. მან კი, ვინც მათი ვერა გაიგო რა, უკეთეს შემთხვევაში გაიქცა და ბედს ეწია, სხვა კი დიდი ადამიანების კაშკაშმა შთანთქა. როგორც ჩემი ერთი უფროსი მეგობარი იტყვის ხოლმე, ასე დაიწყო მრავალწლოვანი ხარშვა ერთსა და იმავე ქვაბში. ხარშვა მამებისა და შვილებისა ერთად. საბჭოურ გადმონაშთებთან მებრძოლი ჩვენი ახალი თაობის არტისტები ახალი ტიპის ბურჟუებად იქცნენ, ქალაქში საყვარელი ადგილები გაიჩინეს, იქაური ყავა და ჩაი შეიყვარეს და ვიღაცების "ქაჯობაზე", "გოიმობაზე" და კიდევ ბევრ რამეზე სნობიზმით საუბარი დაიწყეს.

რკინის ფარდები გაიხსნა, მაგრამ ქართული კულტურის დარაბები - ვაჩაფრით და, როგორც ვატყობთ, ამას არც უახლოეს მომავალში უნდა ველოდეთ.

ადამიანები, ვინც სულ რამდენიმე ხნის წინ თანამედროვე არტისტებს უგემოვნებობაში სდებდნენ ბრალს, კლიშეებს ამსხვრევდნენ და შევარდნაძის მთავრობის უძრაობას აბრალებდნენ ჩვენი ხელოვნების უკულტურო პროცესებს, დღეს მზად არიან, გამბედაობა ყოფნით, რომ დაბნეულებმა, მაგრამ მაინც ამაყებმა მასა და საზოგადოება (ჩვენთან მათ შორის მცირე განსხვავებაა) ზურაბ წერეთლისა და კიდევ სხვა ახალი გენიოსების არსებობაში დაარწმუნონ. თანაც, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მოსწონთ და აწყობთ.

ნუ გვეწყინება და თბილისი სასაცილო ქალაქიცაა. ქალაქი, სადაც ძალიან უყვართ მხატვრობაზე, თეატრზე, მუსიკაზე, ლიტერატურაზე საუბარი. თუმცა, ეს საუბრები ვიწრო რეგიონულ ფორმატს არ სცილდება. საერთოდაც, ქართული ხელოვნება ძალიან სალონური და ჩაკეტილი აღმოჩნდა, ახალი თაობის ფანტაზია და, როგორც იტყვიან ხოლმე, მასშტაბი - უფროსი თაობისაზე უფრო შეზღუდული. დღეს, როცა მათთვის თითქმის ყველა კარი ღიაა, როცა ცენტრალურ პროსპექტს არტისტული გამოვლინებისთვის კეტავენ, როცა თეატრები ექსპერიმენტული წარმოდგენებისთვის იქნება, როცა წიგნები ცენზურის გარეშე იბეჭდება, როცა თბილისმაც გაიგო, რა არის მოძრავი ანდა ღია ცისქვეშ გამოფენა, პერფორმანსი, აქცია, ქართველი ორიგინალური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა ხელოვანები დუმან. მათთვის უფრო სასიამოვნო ახალი სალონების, ნახევრად განათებული სივრცეებისა და საღამოების მოწყობა ყოფილა. ქართველი არტისტები ქმნიან ხელოვნებას, რომელსაც მაყურებელი, შემფასებელი და დაინტერესებული ადამიანები არ ჰყავს, ანუ ხელოვნება არავისთვის, ანუ ეგოისტური და სნობური გამოვლინებაა. ქართველი მხატვრები იმითაც კმაყოფილდებიან, თუ გამოფენას

სალვადორ დალი

ის იქნება, როცა წიგნები ცენზურის გარეშე იბეჭდება, როცა თბილისმაც გაიგო, რა არის მოძრავი ანდა ღია ცისქვეშ გამოფენა, პერფორმანსი, აქცია, ქართველი ორიგინალური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა ხელოვანები დუმან. მათთვის უფრო სასიამოვნო ახალი სალონების, ნახევრად განათებული სივრცეებისა და საღამოების მოწყობა ყოფილა. ქართველი არტისტები ქმნიან ხელოვნებას, რომელსაც მაყურებელი, შემფასებელი და დაინტერესებული ადამიანები არ ჰყავს, ანუ ხელოვნება არავისთვის, ანუ ეგოისტური და სნობური გამოვლინებაა. ქართველი მხატვრები იმითაც კმაყოფილდებიან, თუ გამოფენას რუსთაველზე, TMS გალერეაში გამართავენ, ანდა სადმე შარდენზე, კაფეებთან ახლოს. უფრო ასაკოვანნი კი "ცისფერ გალერეას" შესტრფიან. მთავარია, ერთმანეთს აჯობონ და ხანდახან რაიმე ორიგინალობით აგვალაპარაკონ. მაგალითად, ხატვას თავი დაანებონ და უეცრად ფოტოგამოფენაზე დაგვპატიჟონ. ეს სასიხარულო ამბავია, ანუ სალაპარაკო და დასაწერი მეტია. ქართველ რეჟისორებს უკეთ აქვთ საქმე, ცოტას სხვისას აიღებენ, ცოტას პროვოკაციულს ჩაგვიგდებენ, რაღაცას ეროვნულს შეურევენ. მაყურებელი ემოციურია და საქმეც ისაა, რომ ხელოვნება ემოციისთვის არსებობს, შორს ხალხისგან, შორს სამყაროსგან, შორს მსოფლიო ტენდენციებისგან. ძალიან ჩაკეტილი, ძალიან პრესტიჟული, ძალიან "სხვა" არტი. სივრცე, სადაც ყველაზე კარგად ანტიკვარებით ვაჭრობამ მოიკიდა ფეხი, წრეები, სადაც ჯერ ჰიპობა გახდა ელიტარების პროფესია, ახლა კი თანამედროვე არტი იქცა იმ ენად, რომელიც მხოლოდ წინ წასულ ქართველ არტისტებს ესმით და სხვა არავის. არადა, დაავიწყდათ, რომ თანამედროვე კონცეპტუალური ხელოვნება ის შემთხვევაა, რომელიც ასი პროცენტით გაიხსნა საზოგადოებისთვის, სადაც საზღვრები, სიმბოლოები, მეტაფორები დაიკარგა, სადაც ფორმა ადამიანის იდეად იქცა, იდეა კი - საზოგადო მოსაზრებად. ჩვენთან მასში მხოლოდ უცნაური ფორმები დაინახეს და საკუთარ სნობიზმს გენიალურად მოარგეს. დღეისთვის სულ ერთი ახალგაზრდა მწერალი და ერთი ახალგაზრდა მხატვარი თუ გამახსენდება, ვინც ჩვენს ჭუშმარიტ სოციუმში ჩაიხედა, ვინც "მე" - "ჩვენში" დაინახა და აქედან გამომდინარე დაწერა და დახატა. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ეს დაგვეფასებინა და აღგვენიშნა, მათ ალმაცერად გადავხედეთ. სულ ახლახან ერთ-ერთმა კერძო გალერეამ მხატვრის საკმაოდ საინტერესო მანერითა და ფორმით შესრულებული ნახატები მხოლოდ იმიტომ დაიწუნა და არ გამოფინა, რომ დიდ მხატვრულ პანოებსა და ობიექტებზე ნარკომანისა და პროსტიტუციის შედეგებზე იყო "საუბარი," და ვინ თქვა, რომ რაღაც შეიცვალა? სოციალურ თემაზე შექმნილი ხელოვნების ნიმუშები უკვეთეს შეთხვევაში სოც-არტში გვერევა და გვეშინია. ჩვენს ხელოვნებას საერთოდ ხმამაღლა ნათქვამი სიტყვების ეშინია. ყველაზე მეტად ამიტომ გახდა პრესტიჟული მინაქრის სამკაულების სალონები, თუქის სამოსის ექსპოზიციები - ამ შემთხვევაში ვიცით, რომ ლამაზია, შთამბეჭდავია, უცხოელს მოსწონს და თანაც რაღაც ნაციონალური ხომ უნდა შეგვრჩეს, თუნდაც ფსევდო იყოს. ამიტომ ვდგამთ მშვიდად შექსპირისა და სხვა გენიოსების პიესებზე სპექტაკლებს - ვიცით, რომ ინტერესი გარანტირებულია, სათქმელი საფუძველშივეა ნათქვამი. ავიტაცეთ კოლი მედეას თემა თეატრში? - რა თქმა უნდა, ავიტაცეთ, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დავიწყოთ სცენაზე პრობლემური საკითხების გატანა. ნაროვე მწერლები თავსა და მკითხველს ლეგენდებით, ძველთბილისური ზღაპრებითა და ოცნებებს გამოდევნებული სიუჟეტებით ართობენ. ზოგიერთი მათგანი პრობლემებს - ადამიანების ტკივილსაც ეხება, ოღონდ არა ქართველი ადამიანებისას. მაგალითად: ფემინისტურ თეორიებს ქართულად თხზავს, სექსუალურ უმცირესობებზე ფრანგივით მსჯელობს. მთავარია, რომ ახლობლები უსმენენ, მეგობრები უყურებენ. ხალხი და საზოგადოება? მათ თუ არ ესმით, ეს მათი პრობლემაა და არა ჩვენი, არტისტებისა. მთავარია, თბილისისთვის იყოს საინტერესო და ახალი, თბილისს გაუკვირდეს და ქართველები გაშტერდნენ, რაში გვენაღვლება, თუ სადღაც ოდესღაც ეს უკვე იყო და უკვე მობეზრდათ.

ორი წლის წინ ბაქოელ მხატვარს ამაყად ვუყვებოდი, რა ბევრი გალერეა გაიხსნა თბილისში. მასაც გაუკვირდა, ჩათვალა, რომ მათი გაჩენა ქალაქში აქტიური სახელოვნებო პროცესებით იყო პროვოცირებული. მე კი არ ავუხსენი, რომ ეს მხოლოდ პრესტიჟის საკითხია და, შესაძლოა, ზოგიერთს ფულის შოვნის გზად მოეჩვენა. ამიტომაცაა, რომ ორი წლის შემდეგ ისინი ერთმანეთის მიყოლებით იხურება. თუმცა, ამ ამბავს სულ სხვა საკითხებთან მივყავართ...

მაშინ, როცა ევროპა იოზეფ ბოისის კონცეფციებზე აღარც კი საუბრობს, ჩვენთან ნებისმიერი გამოფენის გახსნისას, მაშინ, როცა პატარა პროვინციის დიდი სნობები წითელღვინით ჭიქას ასწევენ, არც მეტი, არც ნაკლები, ყველაზე საჭირბოროტო საკითხებზე იწყებენ საუბარს. თუნდაც რამდენად ნახეს ვაკის ანტიკვარიატში "აბაკელია" და რამდენად "ბლოტკინი" - კოპალაში. "პიკოზე", "ჯიბისწინზე", "ფარჯიანზე" იშვიათად საუბრობენ. შესაძლოა, იმიტომ, რომ ფასების მიხედვით მსჯელობენ და, აქედან გამომდინარე, ეჭვობენ, რომ საკითხი უფრო რთულია და სადმე კისერს წაიმტვრევენ. ახლა ვხედავ, რომ მთავარი დარტყმა მაინც შემფასებელ საზოგადოებაზე მივიტანე, თუმცა, ჩვენთან დამკვეთი და შემსრულებელი რამ გაყო? ყველანი ერთი პატარა კულტურული გუბერნიის შვილები არა ვართ?

ამ ძალიან გაჭირვებულ, ძალიან დაღლილ პატარა ქვეყანას ძალიან დიდი კულტურა აქვს და თანაც ძალიან ელიტური. კულტურა, რომელიც თავისთვის არსებობს, შორს ხალხისგან, შორს სამყაროსგან, შორს მსოფლიო ტენდენციებისგან. ძალიან ჩაკეტილი, ძალიან პრესტიჟული, ძალიან "სხვა" არტი. სივრცე, სადაც ყველაზე კარგად ანტიკვარებით ვაჭრობამ მოიკიდა ფეხი, წრეები, სადაც ჯერ ჰიპობა გახდა ელიტარების პროფესია, ახლა კი თანამედროვე არტი იქცა იმ ენად, რომელიც მხოლოდ წინ წასულ ქართველ არტისტებს ესმით და სხვა არავის. არადა, დაავიწყდათ, რომ თანამედროვე კონცეპტუალური ხელოვნება ის შემთხვევაა, რომელიც ასი პროცენტით გაიხსნა საზოგადოებისთვის, სადაც საზღვრები, სიმბოლოები, მეტაფორები დაიკარგა, სადაც ფორმა ადამიანის იდეად იქცა, იდეა კი - საზოგადო მოსაზრებად. ჩვენთან მასში მხოლოდ უცნაური ფორმები დაინახეს და საკუთარ სნობიზმს გენიალურად მოარგეს. დღეისთვის სულ ერთი ახალგაზრდა მწერალი და ერთი ახალგაზრდა მხატვარი თუ გამახსენდება, ვინც ჩვენს ჭუშმარიტ სოციუმში ჩაიხედა, ვინც "მე" - "ჩვენში" დაინახა და აქედან გამომდინარე დაწერა და დახატა. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ეს დაგვეფასებინა და აღგვენიშნა, მათ ალმაცერად გადავხედეთ. სულ ახლახან ერთ-ერთმა კერძო გალერეამ მხატვრის საკმაოდ საინტერესო მანერითა და ფორმით შესრულებული ნახატები მხოლოდ იმიტომ დაიწუნა და არ გამოფინა, რომ დიდ მხატვრულ პანოებსა და ობიექტებზე ნარკომანისა და პროსტიტუციის შედეგებზე იყო "საუბარი," და ვინ თქვა, რომ რაღაც შეიცვალა? სოციალურ თემაზე შექმნილი ხელოვნების ნიმუშები უკვეთეს შეთხვევაში სოც-არტში გვერევა და გვეშინია. ჩვენს ხელოვნებას საერთოდ ხმამაღლა ნათქვამი სიტყვების ეშინია. ყველაზე მეტად ამიტომ გახდა პრესტიჟული მინაქრის სამკაულების სალონები, თუქის სამოსის ექსპოზიციები - ამ შემთხვევაში ვიცით, რომ ლამაზია, შთამბეჭდავია, უცხოელს მოსწონს და თანაც რაღაც ნაციონალური ხომ უნდა შეგვრჩეს, თუნდაც ფსევდო იყოს. ამიტომ ვდგამთ მშვიდად შექსპირისა და სხვა გენიოსების პიესებზე სპექტაკლებს - ვიცით, რომ ინტერესი გარანტირებულია, სათქმელი საფუძველშივეა ნათქვამი. ავიტაცეთ კოლი მედეას თემა თეატრში? - რა თქმა უნდა, ავიტაცეთ, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დავიწყოთ სცენაზე პრობლემური საკითხების გატანა. ნაელირება. თუ გნებავთ უფრო სერიოზული ლხინი, არსებობს შეთავაზება სახელწოდებით "ნადიმი წინანდლის მამულში", ერთ სტუმარზე ბილეთის ღირებულებაა 30 ლარი (ციფრები პირობითად მომყავს). თუ ფოლკლორულ მუსიკას ცოცხალი შესრულებით ინებებთ, გადაიხადეთ დამატებით და თქვენთვის იმღერებს ფოლკლორული ანსამბლი "წინანდალი". სტუმრებს შეიძლება შესთავაზონ ასევე "ხინკალ-ფართი" (ხინკლაობა), "ჩურჩხელა-ფართი" (თვითონ ამოავლებენ თათარაში და წაიღებენ).

ასევე შემოსავლის წყაროდ იქცევა თავისთავად საშური და სასიკეთო საქმეები: წინანდლის მამულზე, ალექსანდრე ჭავჭავაძეზე და მის ქალიშვილებზე ორეწოვანი, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნების რეალიზაცია. ბუკლეტების, კატალოგების, ალბომების, ვიდეოკასეტებისა და CD-დისკების რეალიზაცია. ეს პროდუქცია "წინანდლის მამულის" სახსრებით იქნება დაკვეთილი და შემდგომ მოგებით გაყიდული. სახლ-მუზეუმში შესასვლელი ბილეთების ფასი სოლიდური უნდა იყოს, არანაკლებ ხუთი ლარისა (მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის და წინანდლელთათვის შეღავათიანი, ანაც უფასო).

საბოლოო ჯამში, "წინანდლის მამულის" ყოველწლიურმა საფინანსო რესურსმა შეიძლება ერთ მილიონ ლარს გადააჭარბოს (49 წელზე გათვლით 49 მილიონი ლარი!). და ეს სრულიადაც არ გახლავთ "კახეთის ნიუ-ვასიუკის პროჟექტი", ეს რეალურად მიღწევადია.

"ისმინეთ, მსმენნო!" უიმედოდ ყოფნა არ ეგების და ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსით მინდა დავასრულო:

"გლახ ბედისაგან ესრეთ დასჯილი
იმედოვნებას ვუწოდებ ფარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად".

აქცენტი

ფოჩიანი კანფეტები

დახშული ზონა და ჩახარშული ელიტარები

სოფო კილასონია

არის ასეთი წიგნი, ალბერ კამიუს "შავი ჭირი". რატომღაც მხოლოდ ის მახსენდება ამ ბოლო დროს, როცა თბილისზე, თანამედროვე ქართველ კულტურის მოღვაწეებსა და ჩვენს "არტზე" ვფიქრობ. მოკლედ, იყო ქალაქი, სახელად ორანე. XX საუკუნის მეორე ნახევარი იდგა, მაგრამ მივიწყებული სნეულება მის მცხოვრებლებს მაინც ესტუმრა. თავიდან თითქოს არ დაიჯერეს, მერე შეწუხდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქალაქი აკრძალულ ზონად იქცა და საზღვრებიც ჩაიკეტა, მშვენივრად განაგრძეს ცხოვრება. მერე რა, რომ ზაფხულის სიცხეში, მტვერსა და ჭირში თანდათან იხარშებოდნენ, რა მოხდა მერე, რომ უსაყვარულოდ და უპატრონოდ იხოცებოდნენ?! მაინც ისხდნენ კაფეებში, მსჯელობდნენ საკაცობრიო საკითხებზე და თანაც როგორი პათეტიკით! ბუნებრივიცაა, ისინი მთელ დედამიწაზე მარტონი დარჩნენ, არავინ მათი მსგავსი აღარ არსებობდა. საზღვრებს მიღმა კი ის ცხოვრება მიმდინარეობდა, რომელიც მათ საერთოდაც აღარ ეხებოდათ. იმ ქალაქში კიდევ ბევრი რამ ხდებოდა ისეთი, კამიუს ეგზისტენციალიზმს რომ უყვარს ხოლმე, მაგრამ ამჯერად ეს პერიპეტიები არ გვაინტერესებს. 2005 წლის თბილისში გადმოვინაცვლოთ

კელი ბრუკის ჭკვიანური სვლა

ახლახან ინტერნეტით გავრცელდა კელი ბრუკის გულახდილი ფოტოები. ეროტიკული სცენების ამსახველი ფოტომასალა ფილმ "სამიდანაა". მსახიობის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, ისინი ფართო საზოგადოების კუთვნილებად იქცა.

სკანდალი მას შემდეგ ატყდა, რაც მოდელმა, მსახიობმა და "ყველაზე ლამაზი მკერდის მქონე" ბრუკმა ფილმიდან გულახდილი სცენების ამოჭრა მოითხოვა. სცენებში ის შიშველი ჩანდა. თუმცა ფილმის შემქმნელებმა არ იჩქარეს. სცენები იმდენად მხურვალე სიყვარულს ასახავდენ, რომ მათზე უარის თქმა ძალიან ძნელი აღმოჩნდა. ახლა ადვილი წარმოსადგენია, რას მოიმოქმედებს კელი ბრუკი, როცა ინტერნეტქსელით გავრცელებულ პიკანტურ სცენებს იხილავს.

ერთ-ერთ ამერიკულ საიტზე განთავსებულია ფილმიდან ამოჭრილი სამი კადრი. ერთზე მაცდური ლამაზმანი თავის პარტნიორთან ერთად სასიყვარულო თამაშით ერთობა. პარტნიორის როლს ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი ხუან პაბლო დი პასი. მეორე პიკანტურ ფოტოზე შიშველი კელი "ზღვის აბაზანებს" იღებს. მესამე კადრი კი, არც მეტი, არც ნაკლები, პლაჟზე სექსს ასახავს.

საერთოდ, ის ფაქტი, რომ კელი ბრუკს არ სურს მკერდის დემონსტრირება, საკვირველია. არც ისე დიდი ხნის წინ ხომ მსახიობმა თავად აღიარა, "მიყვარს ფლირტი მგზავრობის დროსო". თურმე მგობრებთან ერთად მოგზაურობისას კელი ხშირად ძვრება ფანჯარაში, საიდანაც თავისი მშვენიერი მკერდის დემონსტრირებას ახდენს. ამით არა მხოლოდ მამაკაცებს აღაფრთოვანებს, არამედ გზებზე ავარიულ სიტუაციებსაც ქმნის.

გარდა ამისა, კელი ბრუკის ბიუსტი კარგა ხანია "ლიდერობს". სხვადასხვა ჟურნალში გამოქვეყნებული რეიტინგები გვამცნობენ, რომ ამ მხრივ მან უკან ჩამოიტოვა ანჯელინა ჯოლი, ჯენიფერ ლოპესი და პამელა ანდერსონი. მამაკაცების განცხადებით, კელი ბრუკი პლანეტის ყველაზე სექსუალური ქალია.

სხვათა შორის, ამბობენ, რომ ფილმ "სამიდან" პიკანტური სცენების ამოჭრის იდეის ავტორი მსახიობი ბილი ზეინიაო. კელინს მასთან რომანი აქვს. მის სიშიშვლესთან დაკავშირებით პირველი პრეტენზიაც სწორედ მას გამოუთქვამს, თავად კელინს კი ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონია. თუმცა, ბილი ზეინის პროტესტი დიდხანს არ გაგრძელდა, რადგან მიხვდა, რომ ამით თავის როლს დაკარგავდა.

მოკლედ, ვიდრე რეპორტიორები ამ თემას ამოწურავენ, ჩნდება არცთუ უსაფუძვლო ეჭვი, რომ მსახიობმა ჭკვიანური პიარსვლა გააკეთა.

ყურადღება!

რესპრესი

დაკარგული სამოთხე"

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგვართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207

შესწორება

გაზეთ "24 საათის" №253 ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში "ძალიან დიდი აქცია" ერთ-ერთი რესპონდენტის სახელი და გვარი, ეთერ ბუაჩიძე შეცდომით იყო მოხსენიებული.

ძმა ირაკლი, რძალი ნინო, ძმიშვილები გიორგი და გურამ ებრალიძეები, ბიძა მამია ებრალიძე, დეიდა ნორა რუხაძე, მამიდა რუსუდან ებრალიძე, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ამირან გიორგის ძე ებრალიძე

პანაშვიდი: სამშაბათი 15 ნოებბერი 16 - სთ-ზე
ოთხშაბათი 16 ნოემბერი 16 - სთ-ზე
დაკრძალვა: ხუთშაბათი 17 ნოემბერი 14 - სთ-ზე

მისამართი: თბილისი, უშანგი ჩხეიძის ქუჩა N23

ქართული ლეგენდის ქართული გამოცდა

ია ვეკუა

ერთ-ერთი ამერიკული ფილმის ცენტრალური ფიგურის, სასტიკი კრიმინალის კაიზერ სოზეს სახელი ყველას პირზე აკერია, მის შესახებ პატარებმაც იციან და გაზეთებშიც წერენ, მაგრამ არავის არასდროს უნახავს - ლეგენდად მიაჩნიათ და არ სჯერათ, რომ ნამდვილად არსებობს. დაახლოებით იგივე სიტუაცია იყო ანსამბლ "ერისიონის" შოუ-კონცერტის "ქართული ლეგენდის" გარშემოც. მის შესახებ წლების განმავლობაში მხოლოდ გვესმოდა, გვიხაროდა შოუს წარმატება, ხოლო მის ავტორებს მხურვალე აპლოდისმენტებს ვუძღვნიდით. ეს შოუ დღეს თბილისში დაბრუნდა, თუმცა, სინამდვილეში არსადაც არ წასულა, რადგან სწორედ აქ, მშობლიურ წიაღში იშვა და განვითარდა, მაგრამ წარმატების მისაღწევად მაინც უცხოური შეფუთვა დასჭირდა.

ანსამბლ "ერისიონის" ლეგენდარული შოუ-კონცერტი 17-დან 20 ნოემბრის ჩათვლით თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება. როგორც იქნა, ქართველ მაყურებელსაც მიეცემა ამ ქორეოგრაფიული მზეთუნახავის ნახვის საშუალება და, ამასთან, შეაფასებს კიდეც, ღირდა თუ არა ასეთი აჟიოტაჟის ატეხვა. დარწმუნებული იყავით, რომ შოუს სანახავად მაყურებლის უმეტესობა სწორედ ამ განწყობით მივა. ამიტომ "ერისიონს" ამ სამ კონცერტზე იმაზე მეტი გარჯა მოუწევს, ვიდრე წლების განმავლობაში ევროპაში ირჯებოდა.

ქართული გამოცდისთვის "ერისიონი" შესაბამისად ემზადება, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ კონცერტის ორგანიზებაში კომპანია "ისტერნ პრომოუშენი" ეხმარება. ეს, პრაქტიკულად, პირველი შემთხვევაა, როცა კომპანია ქართულ კოლექტივთან თანამშრომლობს (სწორედ კანდელაკი-გაიორგაძე და კომპანიის მიერ იყო ორგანიზებული "ერისიონის" მოსკოვური გასტროლებიც). როგორც ჩანს, უცხოელი ვარსკვლავების თბილისში ჩამოყვანაში დახელოვნებული "ისტერნ პრომოუშენისთვისაც" ქართულ მუსიკალურ სივრცეში ყველაზე საინტერესო სუბიექტი სწორედ "ერისიონი" აღმოჩნდა.

ამ კონცერტებისთვის კიდევ ერთი ტანდემი შეიქმნა: "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია" ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც ასეთი ძვირად ღირებული პროექტის დაფინანსება გაბედა. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელის ჯემალ ჭკუასელის თქმით, აქამდე ვერც ერთმა ქართულმა კომპანიამ ვერ გადაწყვიტა თბილისში "ერისიონის" შოუს ჩატარებისთვის თანხის გაღება. წელს "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია" 10 წლის ხდება. როგორც მისმა წარმომადგენელმა ზაზა კიკვაძემ აღნიშნა, საუბილეოდ ძალიან უნდოდათ რაიმე სერიოზული აქციის მოწყობა. "ერისიონის" შეთავაზება ოპტიმალურად მიიჩნიეს, ასე რომ, კონცერტებს სიამოვნებით აფინანსებენ.

ქართულ-ფრანგული ჯგუფი პრესკონფერენციაზე.

რაც უფრო მეტი იქნებოდა დაფინანსება, მით ნაკლები ეღირებოდა ბილეთი. როგორც ჩანს, "მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ" საკუთარი "დაბადების დღისთვის" არაფერი დაიშურა, ამიტომ კონცერტზე დასასწრები ბილეთები 15-დან 40 ლარამდე ეღირება (შედარებისთვის: მოსკოვში, კრემლში გამართული კონცერტის ბილეთები 50-დან 250 დოლარამდე ღირდა). "ამ შოუს შექმნისთანავე გვინდოდა, რომ იგი ქართველ მაყურებელსაც ეხებოდეს, მაგრამ ტექნიკური მხარის სიძვირის გამო თბილისში კონცერტებს ვერ ვატარებდით. ამჯერად ამის საშუალება გვაქვს - გვყავს სპონსორი და ტექნიკის ნაწილის შოვნა თბილისშიც შეიძლება", - აღნიშნა ჯემალ ჭკუასელმა.

ფრანგული ჯგუფი თბილისში გუშინ საღამოს ჩამოვიდა. ჯგუფში შედიან განათების დიზაინერები, ხმის რეჟისორები და დეკორატორები, რომლებსაც არაერთხელ უმუშავიათ "ერისიონის" კონცერტებზე და თითოეულ დეტალს ზედმიწევნით იცნობენ. მათთან ერთად ჩამოდიან ფრანგი მუსიკოსები, რომლებიც ბას-გიტარასა და დასარტყამ ინსტრუმენტზე უკრავენ.

ვისაც "ერისიონის" შოუ ტელევიზიით უნახავს, შეამჩნევდა, რომ ანსამბლი სცენის მთელ ფართობს ითვისებს. საფრანგეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების სცენების მასშტაბები კი, ალბათ, ბევრად აღემატება საქართველოს მთავარი დარბაზის - ფილარმონიის სცენის მოცულობას (ხარისხზე, ჯობს, ნუ ვილაპარაკებთ). ამიტომ, შესაძლოა, "ერისიონის" თითქმის 80-კაციან შემადგენლობას იქ დატევა გაუჭირდეს. თუმცა, ჯემალ ჭკუასელი გვაიმედებს, რომ ფილარმონიის სცენა იდეალურია და მისი მასშტაბის გამო შოუში კორექტივების შეტანა არ არის საჭირო.

თუმცა, გარკვეული ცვლილება მაინც მოსალოდნელია: კონცერტს არ ერქმევა "ქართული ლეგენდა". ჭკუასელმა აგვიხსნა, რომ სახელის შერჩევა ანსამბლის პრეროგატივაა. საფრანგეთში "თამარის ლეგენდის" სახელწოდებით ატარებდნენ კონცერტებს, ევროპის სხვა ქვეყნებში "ქართული ლეგენდა" დაარქვეს. ანსამბლი მალე ჩინეთში გაემგზავრება, სადაც შოუს სულ სხვა რამ ერქმევა - ალბათ, რაღაც სხარტი, მოკლე და ჩინელებისთვის ადვილად გასაგები...

დისიდენტი მხატვრის ნეო-აღორძინება

სოფო კილასონია

დღეს საღამოს, 18 საათზე, თბილისის ისტორიის მუზეუმის დიდ საგამოფენო დარბაზში ახალი გამოფენა გაიხსნება. გამოფენა ყურადღების ცენტრში აუცილებლად მოექცევა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მის ორგანიზებას რამდენიმე სერიოზული ინსტანცია ახდენს: დიუსელდორფის მერიის კულტურის სამმართველო, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო, საქართველოს მუზეუმების ასოციაცია, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და თავად ისტორიის მუზეუმი. თუმცა ეს არ არის მთავარი მიზეზი, გამოფენით მრავალი იმიტომაც დაინტერესდება, რომ საანონსო აფიშებს ალექსანდრე დანოვი აწერია. სწორედ იმ ადამიანის სახელი და გვარი, რომლის შესახებაც გაგიგონიათ, როდესღაც ჩუმად გისაუბრიათ კიდეც, შესაძლოა მხოლოდ ყური მოგიკრავთ...

ალექსანდრე დანოვი.

მხატვრისა და საერთოდ უცხოელი ხელოვანის შესახებ საუბარს ყოველთვის იმით ვიწყებთ, თუ საიდანაა იგი. ალბათ ახლაც ასე უნდა დავიწყოთ. მახაჩკალაში დაიბადა, განათლება სანკტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მიიღო, მაგრამ რუსი მხატვარი ნამდვილად არაა. არც სუფთა სტილისტური თვალსაზრისით და საკითხისადმი მიდგომით და არც მრწამსითა და იდეოლოგიით. მან არჩევანი დიდი ხნის წინ გააკეთა. იმ ადამიანების გვერდით დადგა, ვინც რუსული ხელოვნების ნონკონფორმიზმი შექმნეს, თუმცა დანოვი იმდენად მძაფრად გამოხატავდა სათქმელს, რომ მეუღლესთან ერთად გერმანიაში გამგზავრება მოუხდა. როგორც მითხრეს, მისი მრავალი კოლეგისგან განსხვავებით, საკუთარი წარსულით არ სპეკულირებს. მთავარი მისთვის ის საქმეა, რასაც აკეთებს, ერთადერთი რითიც ყურადღებას იმსახურებს ყველგან, საკუთარი მხატვრობაა.

"უკვე სამოციან წლებში იგი, როგორც ხელოვანი და პიროვნება, აქტიურად გამოჩნდა სამოღვაწეო ასარეზზე. ის გახლდათ ერთერთი ორგანიზატორი და მონაწილე ნონკონფორმისტული გამოფენისა, რომელიც ლენინგრადში 1975 წელს ჩატარდა. საბჭოთა კავშირში ის სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ხელოვნებაზე იდეოლოგიურ ზეგავლენას..." - ამ ტექსტს და კიდევ სხვა პატარა ბიოგრაფიულ ამონარიდებს იმ საკმაოდ ინფრმაციულ ბუკლეტში ვკითხულობთ, რომელიც დღეს საღამოს დამთვალიერებელს საგამოფენო დარბაზში დახვდება. ევროპაში მცხოვრები ალექსანდრე დანოვი არც პოპ-არტის მიმართულებას ადევნებია, მისთვის ყველაზე საინტერესო სუფთა სახვითი ხელოვნება დარჩა, რომლის განვითარების პროცესებისა და ეტაპების ილუსტრირებას ექსპოზიცია საკმაოდ კარგად ახდენს.

ნიკა ვაჩეიშვილი: "ჩემთვის უაღრესად სასიამოვნოა, რომ თბილისში ეწყობა მხატვარ ალექსანდრე დანოვის ნამუშევრების გამოფენა, რომელიც უდავოდ ხელს შეუწყობს საქართველოსა და გერმანიის კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას."

გამოფენა 29 ნოემბრამდე გაგრძელდება. მისი კურატორი ხელოვნებათმცოდნე ლიკა მამაცაშვილი გახლავთ. თუ მცირეოდენი თვალის შევლებით ვიმსჯელებთ, ექსპოზიცია საინტერესოა. საინტერესოა თავად მხატვარიც და ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ დისიდენტია. "მე ვმუშაობ 21-ე საუკუნეზე, მე განვიხილავდი ჩემს სტილს, როგორც "ნეო-აღორძინებას", მე ვისურვებდი, მემუშავა კაცობრიობისთვის, შევძინო ჩემს სურათებს ადამიანური განზომილება და ინდივიდუალობა და არ შევქმნა ცარიელი და აბსტრაქტული მხატვრული ნაწარმოები" - ამბობს მხატვარი, რომლის სიტყვებში დარწმუნებას ან დაეჭვებას, მხოლოდ გამოფენაზე მისვლით თუ მოვახერხებთ.

მალაიზიაში ინტერნეტთამაშებს აკრძალავენ

მალაიზიიური ქალაქის - სუბანგ-ჯაიას ხელისუფლება კომპიუტერული თამაშების მოყვარულებს სიამოვნების დროს შეუმცირებს და ე.წ. აკრძალულ საათებს დაუწესებს.

ბოლო წლებში აზიის ქვეყნების მოსახლეობა კომპიუტერულმა ეპიდემიამ მოიცვა. თამაშებისა და ჩათის ფანები საათობით არიან მიჯაჭვული ფარულად მოციმციმე ეკრანს, რაც საბოლოოდ მძიმე შედეგებს - ფსიქიკურ მოშლილობას, ორგანიზმის საერთო სისუსტესა და ლეტალობას იწვევს. მაგალითად, ჩინეთში უკვე მუშაობს რამდენიმე სამედიცინო კლინიკა, რომლებშიც კომპიუტერისგან ჯანმრთელობაშერყეულებს მკურნალობენ.

სუბანგ-ჯაიას მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, მთავრობა მკაცრად გააკონტროლებს კომპიუტერული სალონების ხშირ სტუმრებს. ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც პოლიციას შვილდაკარგულმა დედამ მიაკითხა. ბავშვი კომპიუტერულ სალონში იპოვეს, სადაც მას ორი დღე-ღამე ჰქონდა გატარებული.

მომავალი წლიდან მუნიციპალიტეტი სალონების მფლობელებისგან ოფიციალურად მოითხოვს სათამაშო და ინტერნეტზონების გამიჯვნას. ორივეს ცალ-ცალკე ლიცენზია დასჭირდება. ღამის საათებში სათამაშო ზონა დახურული უნდა იყოს. კანონის დამრღვევი დაჯარიმდება და ლიცენზია ჩამოერთმევა.

ნაპოლეონის კბილი სარფიანად გაიყიდა

ნაპოლეონის კბილი აუქციონიდან 22,6 მილიონ დოლარად გაიყიდა. მისი მფლობელი უცნობი ბრიტანელი მოქალაქე გახდა.

ბონაპარტის ზედა ეშვს, რომელსაც კარიესის ნიშნებიც ჰქონდა, ახლდა უამრავი დოკუმენტი. დოკუმენტური მასალა ადასტურებდა, რომ კბილი მართლაც ფრანგ მხედართმთავარს ეკუთვნოდა და ის ექიმ ბარი ო მერის მიერ 1817 წელს იყო "ლიკვიდირებული". ამ დროს ნაპოლეონი წმინდა ელენეს კუნძულზე იმყოფებოდა.

ექიმს კბილი გენერალ ფრენსის მაცერონისთვის გადაუცია. ნეაპოლელი მეფის ადიუტანტი ნაპოლეონის სიძე, უმცროსი დის ქმარი ყოფილა. შემდეგ ძვირფასი ეშვი ერთ-ერთი კოლექციონერის ხელში აღმოჩნდა, რომელიც ნაპოლეონის ცხოვრების კვლევით იყო დაკავებული. მკვლევარის გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა კბილი აუქციონზე გაიტანეს.

აუქციონის მესვეურნი ფიქრობდნენ, რომ კბილის ფასი 14 ათასს დოლარზე მეტი არ იქნებოდა, მაგრამ გაუმართლათ და კბილი ძალზე სარფიანად გაიყიდა.